ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## სასამართლომ ლადო სადღობელაშვილს 25.000 ლარად გამოშვებაზე უარი უთხრა





გვ.2

„ქართულ მარშს“ თავდებში დავით საგანელიძეც ჩაუდგა

3 მაისიდან

„50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“

წიგნი ა4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი





შაბათი – კვირა, 5 - 6 მაისი, 2018

№105 (7650)

ფასი: 50 თეთრი

# „ბავშვი ბიძას გამოუტყდა, რომ დედა და მისი ქმარი ისე იქცეოდნენ, ბესიკის იმიტომ იყო იქ ჩასული“

რა გახდა ხაშურში მომხდარი მკვლელობის მიზეზი გვ.7



## „ივანიშვილს იურიდიულად არც პრეზიდენტობის უფლება აქვს და არც — პრემიერობის“

გვ.3 ლევან ალაფიშვილი: „მას პრეზიდენტობის კანდიდატად გახდომის უფლებაც კი არ აქვს“

## „თბილისის საკრებულო სასაფლაოების დიზაინზე მსჯელობს“

გვ.2





გვ.3

## „ბათუმში „ქართულმა ოცნებამ“ ბიძინა ივანიშვილი ოფიციალურად გამოაცხადა ღმერთად“

## „გედევან ფოფხაძე, ეკა ბესელია და ნუკრი ქანთარია სამაგალითოდ დასაჯეს“



გვ.4

### სამართალი

გვ.7







ნუგზარ კახიძის მკვლელობაში ბრალდებულ გ.ჩ.-ს პატიმრობა შეეფარდა და მასზე ძებნა გამოცხადდა

გენერალ სამსონ ქუთათელაძის ძმისშვილი, თენგიზ ქუთათელაძე, ფონიჭალაში გარდაცვლილი იპოვეს







„კახა ძნელაძე ლუდს სვამდა, როდესაც მიხეილ იაშვილმა ზურგიდან ესროლა“ სასამართლომ იაშვილს 15 წელი მიუსაჯა

კიბერთავდასხმა სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სერვერზე



წაშლილია მონაცემთა მთელი ბაზა

### ეკონომიკა

გვ.6



მამუკა ბახტაძე: „ლომბარდებთან დაკავშირებით მაისში ახალ თამაშის წესებს მივიღებთ“







საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები თურქეთი, რუსეთი და ჩინეთი არიან



ქართული ლურჯი მოცვი, აზიისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ, შეიძლება ჩინეთის ბაზარზეც გავიდეს

ISSN 1987-9385

2 პალიტრამედია ცილისმწამებლური ცნობების უარყოფას ითხოვს

4 მირიან მირიანაშვილი: „საქართველოდან რუსეთი მალე მთლიანად გავა“

5 სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო: „გიორგი ვაშაძე ცდილობს, საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს“

5 დავით ლორთქიფანიძე: „ქართულ ოცნებაში“ ბევრი რამ არის შესაცვლელი“

# „თბილისის საკრებულო სასაფლაოების დიზაინზე მსჯელობს“

## ლევან ხაბეიშვილი: „ცოცხლებს ხომ მოგვხედეს და ახლა მკვდრებზე გადავიდნენ“

შორენა მარსაგიშვილი

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა თბილისის მერიის 3 თანამშრომელი და ერთ-ერთი კომპანიის 2 ხელმძღვანელი პირი დააკავა. უწყების ინფორმაციით, საქმე ეხება სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტს.**

ამ საქმეზე ნაციონალებმა ცოტა ხნის წინ ატეხეს ხმაური. ხელისუფლება მაშინ ამტკიცებდა, რომ ისინი რაღაცას იგონებდნენ.

ვის უნდა ეგო ამაზე პასუხი, რატომ დაერივნენ წვრილფეხა კორუმპირებულებს, რატომ დაინტერესდა თბილისის საკრებულო სასაფლაოების დიზაინით, — ამ თემებზე „ახალ თაობას“ თბილისის საკრებულოს დეპუტატი, ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

**ლევან ხაბეიშვილი:**

— რამდენი წელია, რაც თბილისის მერიაში არსებულ კორუფციაზე ვსაუბრობ, ამაზე ქოცებს ასეთი პასუხი აქვთ — ხაბეიშვილს ეჩვენება. თბილისის მერიის მაღალჩინოსნების მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების კუთვნილი თანხის მითვისებაზე ჩვენ დავიწყეთ საუბარი. ამაზეც ანალოგიური პასუხი ჰქონდათ, რომ მეჩვენებოდა.

მერე ამაზე გამოძიებაც დაიწყეს და ახლა ვიგებთ, რომ ფინანსთა სამინისტრომ მერიის თანამშრომლები დააკავა. მაგათაც მოეჩვენათ? გამოვიდნენ და გაგვცენ პასუხი.

ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა დამდგარიყო საქალაქო სამსახურის უფროსის, გელა ჩივიაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი. თავის დროზე მას სოციალურად დაუცველებისთვის განკუთვნილი თანხების მითვისებას ედავებოდნენ.

მაღალ თანამდებობებზე ასეთი ადამიანების ყოფნა დაუშვებელია. ამას დავით ნარმანიას დროსაც ვამბობდით და კახა კალაძის მერობის დროსაც გავიმეორეთ. არავინ მოგვისმინა.

არც მაშინ მოგვისმინეს, როცა ფონიჭალაში ერთ-ერთი საბავშვო ბაღის გამო ავტეხეთ ხმაური. გავიდა ცოტა ხანი და კრწანისის მაჟორიტარი დააკავეს. მერე სამგორის გამგებელზე დავდეთ ფაქტები და მაგაზეც შეიცხადეს, რა სისულელეს ამბობენო. ცოტა ხანში სამგორის გამგებელი გაუშვეს.

ამდენი ხანია, ვამბობ ჩივიაშვილზეც, რომ გასაშვებია და გაუშვით. ერთხელ რომ მოიპარავს ადამიანი, მერე რთულია მისი გაჩერება. განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ადამიანი „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს.

ჩემი თუ არ სჯერათ, ფინანსთა სამინისტრომ დაუმტკიცა, რომ ამ ადამიანის სამსახურიდან გაიფლანგა ფული. თან ვისი ფული გაფლანგეს? შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის გამოყოფილი ფული მიითვისეს.

ყველა ნორმალურ ქვეყანაში, ასეთ შემთხვევაში საქალაქო სამსახურის უფროსი გადადგებოდა. ეს კიდევ მიელურსმა ამ სკამს, არც თავისი ნებით მიდის და არც ესენი უშვებენ. მისი გათავისუფლების საკითხი საკრებულოზეც დავაყენე.

***— რა თქვეს საკრებულოს დეპუტატებმა?***

— რას იტყოდნენ, მისი დაცვა დაიწყეს და საფლავების დიზაინზე შეუდგნენ მსჯელობას.

***— სოციალურ ქსელში თქვენ დაწერეთ, რომ საკრებულო სასაფლაოების მოწყობაზე მსჯელობს. ყველამ ეს რატომღაც ხუმრობად მიიღო.***

— რა ხუმრობა, სრული სერიოზულობით მსჯელობდნენ. თავიდან მეც ვერ ვიჯერებდი. როგორია, იმ ქალაქის საკრებულოს კომისიის სხდომაზე შედიხარ, სადაც უამრავი პრობლემაა და რა სურათს ხედავ? საუბრობენ სასაფლაოების დიზაინზე. კორპუსების დიზაინი ხომ დაალაგეს და ახლა საფლავის ქვებს მიადგნენ.

***— სასაფლაოს დიზაინში რას გულისხმობდნენ?***

— რამხელა საფლავის ქვა უნდა დადგას ჭირისუფალმა, რანაირად უნდა შემოღობოს საფლავი და ა.შ. ცოცხლებს ხომ მოგვხედეს, ახლა მკვდრებზე გადავიდნენ. სრული მარაზმი იყო. ვერ მოვითმინე და ამის შესახებ ფეისბუქზე დავწერე. საშინელი გამოხმაურება ჰქონდა. თავადაც ნახეს და შეწყვიტეს განხილვა. ამ საკითხის გატანას აღარც საკრებულოს სხდომაზე აპირებენ.



***— „ოცნებაში“ აშკარად გავლენების განაწილებაზე არიან გადასული. მერიის თანამშრომლების დაკავება კალაძის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად იქნა აღქმული. თქვენ რას ფიქრობთ, კალაძეს ებრძვიან თუ კორუფციას?***

— არც ერთს და არც მეორეს. კორუფციასთან ბრძოლა რომ სდომნოდათ, წვრილფეხა კორუმპირებულებს არ დაერეოდნენ. არჩევნები მოდის და ისეთ სურათს ხატავენ, თითქოს კორუფციას ებრძვიან. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ბრძენი კაცი დაბრუნდა პოლიტიკაში. რაღაცებს წაიფაფხურებენ, ხალხი რომ დააჯერონ, თითქოს ივანიშვილი წესრიგს ამყარებს. მოკლედ რომ გითხრათ კოსმეტიკური რემონტი აქვთ და წვრილფეხობას აწმენდენ ხელს.

ძალიან ბევრი ვიცინე კიდევ ერთ დაკავებაზე — მარტვილში ვილაც დაიჭირეს 1.000 კვ.მ. ნაკვეთის მითვისებაზე. სამაგიეროდ ერთი ხმა არ ამოუღიათ, ივანიშვილმა და მისმა გარემოცვამ 9 მილიონი კვ.მ რომ მიითვისა აბაშაში. კორუმპირებულმა ჩინოსნებმა ნახევარი საქართველო მიითვისეს და 1.000 კვ.მ-ზე იჭერენ ადამიანს. ამაზეც უნდა დაიჭირო, მაგრამ 9 მილიონი კვ.მ. ფართობი რატომ არ ითვლება, ვერ გავიგე.

# სასამართლომ ლადო სადღობელაშვილს 25.000 ლარად გამოშვებაზე უარი უთხრა

## „ქართულ მარშს“ თავდებში დავით საგანელიძეც ჩაუდგა

შორენა მარსაგიშვილი

**„ქართული მარშის“ წევრების და მათი ახლობლების დაწყებულმა შიმშილობის აქციამ შედეგი არ გამოიღო. 4 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ „ქართული მარშის“ ექვსი წევრი — გიორგი ონიანი, ლუკა ნაცვლიშვილი, მიხეილ ამისულაშვილი, ლადო სადღობელაშვილი, ირაკლი დოლენჯაშვილი და ბექა ჩევაზიშვილი პატიმრობაში დატოვა.**



სასამართლო დანიშნულ დროზე გვიან დაიწყო — პატიმრობაში მყოფ მარშელებს 30 აპრილიდან აქვთ შიმშილობა გამოცხადებული და ერთ-ერთი მათგანი ცუდად გახდა.

როგორც ლადო სადღობელაშვილის დედა, თამარ იოვაშვილი „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, ბრალდებულების ადვოკატების ნაწილი მათი დაცვის ქვეშ მყოფების გირაოს საფუძველზე გათავისუფლებას ითხოვდა.



— ჩვენმა ადვოკატმა ლადოს გათავისუფლების სანაცვლოდ სასამართლოს გირაოს სახით 25.000 ლარი შესთავაზა. ეს არის უპრეცედენტო თანხა. ასეთი გირაოთი ყაჩაღებსაც კი ათავისუფლებენ. სასამართლომ ჩვენი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ გადაწყვეტილება პოლიტიკურია, — ამბობს თამარ იოვაშვილი.

„ქართული მარშის“ წევრების მხარდასაჭერად საქართველოს პარლამენტის წევრებიც მივიდნენ და რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, მათ დავით საგანელიძემაც კი გამოუცხადა თანადგომა. საგანელიძის და მარშელების დამოკიდებულება კი კარგი არასდროს ყოფილა.

— ბიჭებს თავდებში ბევრი ცნობილი ადამიანი უდგებოდა. მათ შორის არიან საქართველოს პარლამენტის წევრებიც. სასამართლო სხდომაზე გია ჟორჟოლიანი, დავით ჭიჭინაძე, ადა მარშანია და ემზარ კვიციანი მოვიდნენ. კარგად იცით, რა დამოკიდებულება ჰქონდა ბიჭებს საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელ დავით საგანელიძესთან, მაგრამ დაკავებულებს ისიც გვერდში დაუდგა.

მან სასამართლოს გამოუგზავნა წერილი, სადაც წერს, რომ ადრე მას მარშელებთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. ამის მიუხედავად, ის მიიჩნევს, რომ ბიჭები ტყუილად არიან პატიმრობაში. საგანელიძე ფაქტიურად თავდებში დაუდგა ბიჭებს, მაგრამ ესეც არაფრად ჩაითვალა. ისევე, როგორც დეპუტატების მხარდაჭერა, — ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში იოვაშვილი.

მისი თქმით, 4 მაისის სასამართლო პროცესზე დარწმუნდნენ, რომ სამართლის საძებნელად სტრასბურში მოუწევთ წასვლა.

— 4 მაისს დავრწმუნდი, რომ ქვეყანაში სამართალი არ არის. იმ დღეს თავად ქრისტეც რომ მოსულიყო სასამართლოზე, ბიჭებს მაინც არ გამოუშვებდნენ. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში სიმართლეს ვერ ვიპოვით, მაგრამ სამართალს სტრასბურში მოვნახავთ. ეს საქმე საქართველოს ხელისუფლებისთვის იქნება სამარცხვინო, — ამბობს დაკავებული მარშელის დედა.

მიუხედავად იმისა, რომ სამართლის ძებნას სტრასბურში აპირებენ, არც დაკავებულები და არც მათი ახლობლები შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებენ.

— სასამართლოდან როცა გაჰყავდათ, ლადომ დაგვიძახა, რომ ისინი შიმშილობის აქციას გააგრძელებენ და ჩვენც გვთხოვა, არ შევწყვიტოთ აქცია. შიმშილობის აქცია გაგრძელდება, — აღნიშნავს თამარ იოვაშვილი.

მისთვის შიმშილობის გაგრძელება სარისკოა, რადგანაც დიაბეტითაა დაავადებული, მაგრამ საკუთარ თავზე მეტად შვილზე ნერვიულობს.

— ლადოს აქვს აუტოიმუნური ბ12 დეფიციტის ანემია. მას შიმშილობა კატეგორიულად ეკრძალება. ის შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებს. ლადოს ან „ქართული მარშის“ რომელიმე წევრს რამე რომ მოუვიდეს, ამაზე პასუხისმგებელი იქნება საქართველოს ხელისუფლება. პირველ რიგში გიორგი კვირიკაშვილი და ირაკლი შოთაძე, — აცხადებს თამარ იოვაშვილი.

მისი თქმით, დღეს საქართველოს პროკურატურა იმას აკეთებს, რასაც ნიკა გვარამია ითხოვს.

— პროკურატურა სავსეა გვარამიას დროინდელი პროკურორებით, ისინი იმას აკეთებენ, რასაც გვარამია ითხოვს. გვარამიას კი ჩვენი ბიჭების პატიმრობაში დატოვება უნდა, — აღნიშნავს დაკავებულის დედა.

თამარ იოვაშვილი მიიჩნევს, რომ მთელი საქართველო ფეხზე უნდა დადგეს, რადგან საქართველოში სამართალი საბოლოოდ გარდაიცვალა.

# პალიტრამედია ცილისმწამებლური ცნობების უარყოფას ითხოვს

4 აპრილს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გამოაცხადა ტენდერი აზიური ფაროსანას წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის მომსახურების შესყიდვის მიზნით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა კომპანიამ. გამარჯვებული გახდა სარეკლამო კომპანია „ედლაინი“ (პალიტრამედია), რომელმაც წარადგინა მრავალფეროვან დოკუმენტაციასთან ერთად ყველაზე დაბალი ფასი.

პალიტრამედიამ შეძლო დაბალი ფასის დაფიქსირება იმის გათვალისწინებით, რომ მას საკუთარი მედიაპლატფორმები გააჩნია.

სანამ პალიტრამედიასთან გაფორმდებოდა ხელშეკრულება, სხვადასხვა პირებმა გაავრცელეს ცრუ ინფორმაცია, რომელმაც საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა. კერძოდ, გავრცელდა არაერთი განცხადება, სადაც დაფიქსირდა, თითქოს ტენდერი იყო „უკონკურენტო“, რაც კორუფციულ ხასიათს ატარებდა. რეალურად კი კომპანიამ მაღალი კონკურენციის პირობებში მოიპოვა გამარჯვება.

ამას ადასტურებს საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელიც შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზეა განთავსებული. გამარჯვების მოსაპოვებლად პალიტრამედიას 177.399 ლარით ნაკლები თანხის დაფიქსირება მოუწია. რეალურად, პალიტრამედიის მონაწილეობით სახელმწიფომ 177.399 ლარით ნაკლები უნდა გადაიხადოს საჭირო მომსახურების მისაღებად.

სწორედ იმიტომ, რომ გავრცელებულია ცრუ ცნობები, რაც იწვევს კანონიერი ინტერესების შელახვას, უფლებათა დაცვის მიზნით პალიტრამედია სასამართლოს მიმართავს.

თემის ირგვლივ სადავო ინფორმაცია გავრცელებულია ნიკანორ მელიას, არასამთავრობო ორგანიზაციის „შეაჩერე კორუფცია“, „სტუდია მონიტორისა“ და „გაზეთ ალიას“ მიერ.

პალიტრამედია მიმართავს ყველას, ვინც მცდარი ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას, მოახდინონ მათი უარყოფა, წინააღმდეგ შემთხვევაში პალიტრამედია ცრუ ინფორმაციაზე რეაგირებას სასამართლო გზით გეგმავს.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილს იურიდიულად არც პრეზიდენტობის უფლება აქვს და არც — პრემიერობის“

## ლევან ალაფიშვილი: „მას პრეზიდენტობის კანდიდატად გახდომის უფლებაც კი არ აქვს“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საუბრობს იმაზე, ბიძინა ივანიშვილს აქვს თუ არა კონსტიტუციით უფლება, საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი იყაროს.**

***— ბატონო ლევან, თქვენ განაცხადეთ, რომ ბიძინა ივანიშვილს არ შეუძლია, მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი იყაროს ან პრემიერი გახდეს. რატომ?***

— დღეს მოქმედ კონსტიტუციაში და იმ კონსტიტუციაშიც, რომელიც შემოდგომით ამოქმედდება, წერია, რომ პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე ვერ გახდება მოქალაქე, რომელიც იმავდროულად არის უცხო ქვეყნის მოქალაქე. ეს ჩანაწერი კონსტიტუციაში 2012 წელსაც არსებობდა. მაშინდელმა ხელისუფლებამ ივანიშვილისთვის მოქალაქეობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით ერთჯერადი შესწორება შეიტანა, რომლის თანახმადაც, შეიძლებოდა საქართველოს ჰყოლოდა იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქე პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარეც.

***— ამ ერთჯერადი შესწორების კვალობაზე გახდა ის პრემიერი?***

— დიახ, გამონაკლისი დაუშვა მაშინ კონსტიტუციამ, რადგან ასეთი შესწორება შევიდა, მაგრამ, როგორც კი ივანიშვილი გადადგა პრემიერის პოსტიდან, კონსტიტუციის იმ ნორმამ მოქმედება შეწყვიტა. შესაბამისად, დღეს მოქმედებს ის ნორმა, რომლის მიხედვითაც გვაქვს ეს აკრძალვა.

***— თქვენ ამბობთ, რომ თუ ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრის ან პრემიერი გახდება, კონსტიტუციას დაარღვევს?***

— არა, ამას არ ვამბობ. თუ ივანიშვილი იმავდროულად სხვა ნებისმიერი უცხო ქვეყნის მოქალაქეობას შეინარჩუნებს, არათუ პრეზიდენტი, კანდიდატიც კი ვერ გახდება.

***— სალომე ზურაბიშვილის მაგალითიც გვაქვს.***

— დიახ. კონსტიტუციისთვის რა მნიშვნელობა აქვს სახელსა და გვარს. თუმცა, მე არ გამოვრიცხავ, რომ ვინაიდან „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს, კონსტიტუციაში შევიდეს კიდევ ერთი შესწორება, ეს სულაც არ არის გამორიცხული, მით უფრო ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შემდეგ.

***— პრეზიდენტის უფლებამოსილებებზეც მინდა გკითხოთ. თქვენც ამ უფლებამოსილებებს სკეპტიკურად უყურებთ?***

— იმ კონსტიტუციის მოდელს, რომელიც შემოდგომაზე ამოქმედდება და რომელსაც საპარლამენტო მოდელს ეძახიან, რეალურად სუპერსაპრემიერო მოდელი ჰქვია. ამ მოდელში პრემიერი სარგებლობს წამყვანი უფლებამოსილებებით, რადგან ის არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. მიუხედავად ამ ყველაფრისა, სახელმწიფოს მეთაური და სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი არის პრეზიდენტი.

მართლაც ასეთი სიმბოლურია პრეზიდენტის უფლებამოსილებები?! ყველას ავიწყდება, რომ არსებობს ვენის კონვენცია, რომელიც ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, ვის რა ეწერება კონსტიტუციაში, ქვეყნის სამ წარმომადგენელს – პრეზიდენტს, პრემიერსა და საგარეო საქმეთა მინისტრს საერთაშორისო ურთიერთობებში განსაკუთრებული უფლებამოსილებები აქვს. როგორ გამოდის სიმბოლურობა?! თუ კონსტიტუციონალიზმში დავრჩებით და პოლიტიკაში არ გადავალთ, აქ პრეზიდენტის სიმბოლურობაზე საუბარი სრულიად ზედმეტია.



პრობლემა სხვაგან არის: ამ ტიპის მოდელებში, მით უფრო, როდესაც ასეთი მოდელი მოქმედებს ჩვენნაირი ტიპის ქვეყანაში, პრობლემა ვლინდება დაუბალანსებლობაში. რეალური დემოკრატიის პირობებში ეს მოდელი სულაც არ იქნებოდა პრობლემა, მაგრამ, როდესაც რეალურად პარლამენტი ვერ იბარებს მინისტრს, რეალურად არ ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზედამხედველობას, ცხადია, მაშინ პრობლემა თავს იჩენს. პარლამენტი მთავრობის მაკონტროლებელი არ არის.

***— არ არის თუ ვერ არის?***

— თავის ფუნქციას ვერ ასრულებს. გინახავთ საგნობრივი ოპონირება პარლამენტსა და მთავრობას შორის?!

***— რატომ, რა არის ამის მიზეზი?***

— ჩვენი პოლიტიკური განვითარების დაბალი დონეა მიზეზი, მით უფრო, როცა საკონსტიტუციო უმრავლესობით არის პარლამენტში ხელისუფლება. რადგან ხელისუფლებაში ვართ და მთავრობა ჩვენია, სხვა არაფერია საჭირო, ასე თვლიან უმრავლესობის წევრები. ისინი მიიჩნევენ — რაც უნდა თქვას მთავრობამ, ჩვენ კვერი უნდა დავუკრათ! ასეთია მათი შეხედულება დეპუტატის ფუნქციების მიმართ.

***— პრეზიდენტის უფლებამოსილებებს რომ დავუბრუნდეთ, როგორ მოგწონთ, მაგალითად, ასეთი შეფასება — ბევრი რამე დამოკიდებულია არა იმაზე, რა წერია კონსტიტუციაში, არამედ პიროვნებაზე, რომ პიროვნება განსაზღვრავს ბევრ რამეს.***

— სწორედ ასეთი მსჯელობაა ინსტიტუციური დემოკრატიის დასასრულის დასაწყისი. დემოკრატიისთვის, მით უფრო კონსტიტუციისთვის, პიროვნებებს მნიშვნელობა არ აქვს. თუ ასე გაგრძელდება, მაშინ სუბიექტურ მმართველობას მივიღებთ. მართალია, ჩვენთან დემოკრატია ვითარდება, მაგრამ ჯერ კიდევ ამ სისტემაში ვართ, სადაც ინსტიტუციური დემოკრატია არ არის.

სადაც ინსტიტუციური დემოკრატია არ არის, იქ არის სუბიექტური მმართველობა. ამიტომ, სანამ სახელმწიფოებრიობის განვითარების ახალ ეტაპზე არ გადავალთ, ერთსა და იმავე წრეზე ვიტრიალებთ.

# „ბათუმში „ქართულმა ოცნებამ“ ბიძინა ივანიშვილი ოფიციალურად გამოაცხადა ღმერთად“

## ჯელალ ქიქავა: „განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების დევნა დაიწყო“

შორენა მარსაგიშვილი

**4 მაისს ბათუმში საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა ბათუმის იუსტიციის სახლის შენობიდან პოლიციის სამმართველომდე მსვლელობა მოაწყვეს.**

აქციის მონაწილეების თქმით, ისინი ქვეყანაში კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესებას აპროტესტებენ.

— აქციის მთავარი მიზანია, მოვუწოდოთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ამ ქვეყნის პოლიცია ემსახურება საქართველოს, მის ყველა მოქალაქეს და არა ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილს. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ამ ხელისუფლებამ პოლიცია აქცია კონკრეტული ადამიანის და კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის დამცველად, ამის ნათელი მაგალითია ის, რომ პოლიციელის თვალწინ მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს, მათ შორის დეპუტატებს, პოლიტიკოს ჯელალ ქიქავას თავს დაესხნენ.

ჩვენ აქტივისტ ტარიელ ტეტემაძეს სცემეს და პოლიციას დღემდე არ გამოუძიებია, ჩვენ ვნახეთ ირაკლი ჩხვირკია, რომელიც 11 თვე ციხეში ამყოფეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვით. დღევანდელი აქციით პოლიციას მოვუწოდებთ, რომ ემსახუროს საქართველოს და არა ბიძინა ივანიშვილს, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მირდატ ქადამაძემ.

აქციაში რამდენიმე ასეული ადამიანი მონაწილეობდა. აქციის მონაწილეებს იმედი აქვთ, რომ ხელისუფლება



გონს მოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი უფრო სერიოზული აქციის მოწყობას აპირებენ.

რატომ დაესხნენ თავს საკრებულოს დეპუტატებს, ვის ემსახურება პოლიცია, რის გაკეთებას აპირებს ოპოზიცია, ვინ გაუხსნა ხელ-ფეხი კრიმინალებს, რა წოდება მიანიჭეს ივანიშვილს ბათუმში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ორგანიზაცია „სამართლიანობა და დემოკრატიის პრინციპების“ ხელმძღვანელი ჯელალ ქიქავა ესაუბრება.

**ჯელალ ქიქავა:**

— ოპოზიცია და საზოგადოება ნელ-ნელა ვიწყებთ გამოღვიძებას. აჭარის რეგიონში მყოფმა პოლიტიკოსებმა ერთად გავაპროტესტეთ ქვეყანაში არსებული მძიმე კრიმინოგენური სიტუაცია. ისევე, როგორც მთელ საქართველოში, აქაც ძალიან მძიმედ არის ამ მხრივ ვითარება და თავი ვალდებულად ჩავთვალეთ, რომ ამაზე ხმა ამოგვეღო. უფრო ზუსტად რომ გითხრათ, იძულებული ვიყავით, ეს ნაბიჯი გადაგვედგა.

***— იძულებული რატომ იყავით?***

— იმიტომ, რომ ჩვენ გვესხმიან თავს. დღისით მზისით, ხალხის თვალწინ გვისწორდებიან ფიზიკურად. ამ ქვეყანაში განსხვავებული აზრის გამოთქმა უკვე სარისკო გახდა.

წარმოიდგინეთ, როცა საკრებულოს დეპუტატს და პოლიტიკოსს ესხმიან თავს, იქ ჩვეულებრივ მოქალაქეებს რას უზამენ? ამ ქვეყანაში არავის უსაფრთხოება დაცული არ არის. ამის ნათელი მაგალითია რამდენიმე დღის წინ მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც საკრებულოს ოპოზიციონერ დეპუტატს სცემეს.

***— ვინ სცემა დეპუტატებს?***

— ძველმა კაგებეშნიკებმა სცემეს. ისინი ახლა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები არიან. ამ კაგებეშნიკებმა ბიძინა ივანიშვილი ღმერთად აღიარეს.

***— სად აღიარეს ივანიშვილი ღმერთად?***

— სად და აჭარაში. ჟურნალისტებს, მთელი ქვეყნის გასაგონად განუცხადეს, ივანიშვილი ღმერთის ტოლა კაციაო. ეს კაგებეშნიკები დაერივნენ დეპუტატებს, რომლებიც ივანიშვილის ხის გადატანას უშლიდნენ ხელს.

იცით, როგორ იცავენ ბიძინას ხეებს? აქციას რომ ვაპირებდით, საგანგებოდ მოემზადნენ. მეც მივდიოდი ამ ღონისძიებაზე, მაგრამ დამაგვიანეს. მანქანა ჩამომართვეს და ჩაქვიდან ციხისძირამდე ფეხით ვიარე, სადღაც ერთი საათი დამჭირდა.

ამ საპროტესტო ღონისძიებაზე ბევრი ხალხი რომ მოსულიყო, „ოცნება“ და კაგებეშნიკები ამდენს ვეღარ გაბედავდნენ.

***— ხალხს აშკარად მობეზრდა აქციები და აღარც პროტესტის გამოხატვის სურვილი აქვთ.***

— ჩემი აზრით, ხალხი შეშინებულია და საკუთარი აზრის გამოხატვის ეშინია. განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებზე ნადირობა აქვს ხელისუფლებას გამოცხადებული. დავუბრუნდები 4 მაისის აქციას და საკმაოდ კარგი გამოვიდა. ხალხიც მოვიდა.

***— რამდენი ადამიანი ღებულობდა აქციაში მონაწილეობას?***

— 300-დან 400 კაცამდე იყო ქუჩაში გამოსული. ჩვენ ერთად გავაპროტესტეთ უსამართლობა და მომატებული კრიმინალი.

***— ხალხის ეს რაოდენობა ბევრია თუ ცოტა?***

— ცოტა არ არის. სასურველი იქნებოდა, უფრო მეტი ადამიანი გამოსულიყო ქუჩაში, მაგრამ დასაწყისისთვის ესეც კარგია. ნელ-ნელა ვიწყებთ. ხალხი ძალიან მაგარი შეშინებულია. მე მათი ძალიან კარგად მესმის. როდესაც კრიმინალი და ხელისუფლება ერთმანეთს ერწყმის, ეს ქვეყნის უბედურებაა.

უბედურება და ქვეყნის გადაგვარებაა, როდესაც პოლიტიკოსი ხელისუფლების მიმართ პრეტენზიას გამოხატავს და მას ქურდები ურეკავენ.

***— ქურდები რატომ ურეკავენ?***

— იმიტომ, რომ ხელისუფლებას უჭერენ მხარს. ჩვენთან ხელისუფლებამ და კრიმინალმა კარგად გამონახეს საერთო ენა. ამის შემდეგ როგორ შეიძლება, „ქართული ოცნება“ დემოკრატიასა და დასავლურ ღირებულებებზე საუბრობდეს.

***— შეგიძლიათ დაასახელოთ იმ პოლიტიკოსის ვინაობა, ვისაც ხელისუფლების კრიტიკის გამო ქურდებმა დაურეკეს?***

— როგორ არ შემიძლია. ვინაობის დასახელებაც შემიძლია და იმ მიზეზისაც, რატომაც შეწუხდნენ ქურდები.

***— მაშინ დაგვისახელეთ მისი ვინაობა.***

— მე ვარ ის კაცი, ვისაც ქურდები ურეკავდნენ.

***— როდის მოხდა ეს?***

— ძალიან ახლო წარსულში.. სულ ახლახან ჩემზე განხორციელდა თავდასხმა, რომლის ორგანიზატორიც პარლამენტის დეპუტატი მუხრან ვახტანგაძე იყო. დეპუტატს ამაში საჯაროდ დავდე ბრალი. ამ განცხადების გაკეთების შემდეგ ქურდები გააქტიურდნენ და ჩემთან დაკავშირებას ცდილობდნენ.

***— რას ითხოვდნენ ისინი?***

— ვერაფერი ვერ მომთხოვეს, რადგან მათთან საუბარსა და შეხვედრაზე უარი ვთქვი. ასეთი მაგალითები ძალიან ბევრია. ეს აუცილებლად დაღუპავს ქვეყანას. ძალიან სახიფათოა, როცა კრიმინალი და ხელისუფლება ერთად თანამშრომლობენ. არანაკლები კატასტროფაა, როცა პოლიცია, მოქალაქეების ნაცვლად, ოლიგარქის ხეებს იცავს.

***— როცა ივანიშვილი პოლიტიკაში მობრუნდა, ასეთი ვარაუდი გაჩნდა, ხეების გადარგვას მორჩაო და საქმე სხვანაირად ყოფილა.***

— ხეების გადარგვას ეგ არასდროს არ მორჩება, სანამ ხელისუფლებიდან არ გავუშვებთ. კიდევ ბევრი ხე დარჩა მოსათხრელი. დაიმახსოვრეთ ისიც, რომ ამ ადამიანს ფანტაზია არა აქვს.

***— მაგასაც თუ არა აქვს ფანტაზია, აბა ვის აქვს?***

— რა ფანტაზია აქვს, ერთი მითხარით? კაცი 5 მილიარდის მფლობელია და ხეებს დაათრევს აქეთ-იქეთ. მეტი არც უნდა მოვთხოვოთ. ადამიანი ქურდების, კრიმინალების, მამაძაღლების, გადამგდებების გარემოში ცხოვრობს ათეულ წლებია. ვერც ექნებოდა ნორმალურ ხალხთან ურთიერთობა. სადაც მაგან ფული იშოვა, იქ ნორმალური ხალხი ბიზნესში არ იყო.

ილონა მასკი ხომ იცით, მაგან 500 მილიონი გადაიხადა და მანქანა გაუშვა კოსმოსში. აი, ესაა ფანტაზია. ივანიშვილი კი რაში ხარჯავს ფულებს? იმისთვის, რომ ერთი ხე გადარგოს, 100 ხეს აუბედურებს. არც ის აინტერესებს, რას ფიქრობს ხალხი.

ადამიანი დაბრუნდა პოლიტიკაში და მაინც ხეებს მიათრევს. მაგიტომაც გვაქვს საქმე კარგად. ისეთი ვითარებაა, ხელისუფლებაზე ლაპარაკს გინებით უნდა ვიწყებდე, მაგრამ გინება აკრძალეს.

***— გინება თუ სიგარეტი?***

— სიგარეტი ახლა აკრძალა გუგულიმ. გინება ცოტა უფრო ადრე აგვიკრძალეს. მარტო პრემიერს შეუძლია პარლამენტიდან კეთილების მოხსენიება. მამიდის ხსენებაც შეიძლებაო. სხვა დანარჩენი ყველაფერი აკრძალულია. ამიტომაც ვსაუბრობ მაგათზე ასე კულტურულად.

# მირიან მირიანაშვილი: „საქართველოდან რუსეთი მალე მთლიანად გავა“

## რატომ გადაიდო გიორგი კვირიკაშვილის გადადგომა

მარიამ მჭედლიშვილი

**როგორ მიმდინარეობს რუსეთის პოზიციების დათმობა საქართველოში? რა კავშირი აქვს ამას სომხეთთან? რა შემთხვევაში აქვს ბიძინა ივანიშვილს შანსი, გახდეს პრეზიდენტი ან პრემიერი? როდის გააქტიურდება კულუარული მოლაპარაკებები ამ საკითხებზე? – ამ და სხვა თემებზე „ახალი თაობა" ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს.**

**მირიან მირიანაშვილი:**

– რუსეთი მზადაა, დათმოს ის პოზიციები, რომლებიც მას უკავია საქართველოს პოლიტიკურ ეკონომიკასა და პოლიტიკაში. ამას სჭირდება ხელის შეწყობა. ამ ასპექტში უმნიშვნელოვანესია ჩვენს მეზობელ სომხეთში მიმდინარე პროცესები.

***– რუსეთი იქაც უკან იხევს.***

– რასაკვირველია. ორივე ქვეყანაში არსებული ვითარება ტანდემში უნდა განვიხილოთ. გარეგნულად სომხეთსა და საქართველოში მოვლენები ერთმანეთისგან განსხვავებულია, თუმცა ეს ერთი ტენდენციის მაჩვენებელია. რეგიონული ელიტები ცდილობენ, თავიდან აიცილონ რისკები, რომლებიც ახლავს რუსეთის გავლენის შესუსტებას. სომხეთის მოვლენებში, რომელსაც მაიდანს უტოლებენ, თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვა სომხურმა დიასპორამ. მის წარმომადგენლებს აქვთ გავლენები და ბიზნესები დასავლეთის



წამყვან სახელმწიფოებში. ამერიკის პოლიტიკურმა ელიტამ სომხურ დიასპორას პირდაპირ მოუწოდა, თქვას, ვის ემხრობა – რუსეთს თუ დასავლეთს. ამ კატეგორიის ბიზნესმენების წინააღმდეგ მომავალში სანქციების გამოყენება არ გამოირიცხა.

***– სომხეთში დაწყებული საპროტესტო მოძრაობა დიასპორის წახალისებულია?***

– დიასპორამ ამას ხელი შეუწყო. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ზეწოლა მოხდა სხვა ქვეყნების პოლიტიკურ და ბიზნესელიტებზეც, მაგალითად, ყაზახეთის გავლენიან წრეებზე.

***– ბოლო დროს ყაზახეთმა აშშ-სთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა, მათ შორის, ავღანეთიდან ამერიკული ტვირთების ტრანზიტის სფეროში. ეს ამის შედეგია?***

– ყაზახეთმა სხვა ბევრი გადაწყვეტილებაც მიიღო, რაც მას დასავლეთთან აახლოებს.

***– ნიკოლ პაშინიანის გაპრემიერებას სომხეთში სხვა ნაბიჯებიც მოჰყვება?***

– ბუნებრივია. პირველ რიგში, ამერიკელები დაამყარებენ კონტროლს სომხეთის შეიარაღებულ ძალებსა და უშიშროების სამსახურზე.

***– ეს ეხება გარდამავალ მთავრობასაც და ახალი პარლამენტის არჩევის შემდეგ ჩამოყალიბებულ მინისტრთა კაბინეტსაც?***

**სომხეთში მიმავალი სააკაშვილი ჰოლანდიაში მიაბრუნეს**

– ცხადია. სომხეთის დაზვერვა, რომელსაც დიასპორა წელიწადში 400 მილიონი დოლარით აფინანსებდა, პრობლემებს უქმნიდა საქართველოს. ეს სამსახური რუსეთის დავალებებს ასრულებდა საქართველოში. ცოტა ხანში ამ მხრივ შვებით ამოვისუნთქავთ.

***– კრემლს არ ჰქონია სომხეთის ამბებში ჩარევის სურვილი?***

– ამერიკელებმა გააფრთხილეს რუსები, ამ სიტუაციაში პროტესტანტების წინააღმდეგ არ გამოეყენებინათ სამხედრო ბაზა ცხინვალში. ამის შედეგად მოსკოვის ელიტის განცხადებები სომხეთზე უკიდურესად ფრთხილი იყო.

***– საქართველოში როგორ ვითარდება მოვლენები? წინა ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ დასავლეთი და რუსეთი აწარმოებენ კულუარულ მოლაპარაკებებს. იქ განიხილება რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების დათმობისა და ამ პროცესში ბიძინა ივანიშვილის ჩართვის საკითხი.***

– რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური კონტროლის დემონტაჟი საქართველოში, ფაქტობრივად, დაწყებულია. სასურველია ამ პროცესში ბიძინა ივანიშვილის ჩართვა. თუ ეს



მოხერხდა, გარედან მხარდაჭერილი იქნება მისი კანდიდატურა პრეზიდენტობის კანდიდატად ან პრემიერის პოსტზე. გარიგების შემოთავაზება გადადგომამდე ჰქონდა სერჟ სარგსიანსაც.

***– როგორც ჩანს, მან ამაზე უარი თქვა.***

– დიახ. სერჟ სარგსიანმა განაცხადა, რომ რუსეთიდან ხელფეხშეკრულია. ამიტომ დაამთავრა ისე, როგორც დაამთავრა.

***– საქართველოში რა შემთხვევაში შეიძლება აირიოს სიტუაცია?***

– შეუთანხმებლობის შემთხვევაში. სარგსიანთან რომ გარიგებული იყვნენ, პაშინიანი საჭირო არ გახდებოდა.

***– კულუარული მოლაპარაკებები საქართველოს შესახებ გრძელდება?***

– 7 მაისს პუტინის ინაუგურაციის ცერემონიალია. ამის შემდეგ მოლაპარაკებები განახლდება.

***– ბიძინა ივანიშვილის პარტიის თავმჯდომარედ მოსვლა რისი წინაპირობაა?***

– შეიძლება ეს იყოს დათმობების წინაპირობა. ყოველ შემთხვევაში, ეს პარტიული თანამდებობა არ გამოხატავს განსაკუთრებულ ამბიციებს. ამერიკელებს ეჭვი აქვთ, რომ მას პრემიერობა უნდა. ამას ისინი დათანხმდებიან მაშინ, თუ ივანიშვილი აქტიურად ჩაერთვება რუსეთის კაპიტულაციაში, კრემლისთვის გარკვეული სეგმენტების ჩამორთმევის პროცესში.

***– ჯერ არაფერია გადაწყვეტილი?***

– ჯერ არა. ამჟამად დასავლეთისთვის აუცილებელია, რომ ვაკანტური არ დარჩეს პრემიერის პოსტი. ამიტომ სთხოვეს კვირიკაშვილს ამ ეტაპზე დარჩენა ამ პოზიციაზე. რუსეთის ელიტამ, რომლის ხელშია საქართველოს მთელი ეკონომიკა, სააფთიაქო ბიზნესით დაწყებული, ოქროს წარმოებით დამთავრებული, ყველაფერი უნდა დათმოს. ამ ბიზნესების მეპატრონეების წინააღმდეგ დასავლეთის სანქციები მოქმედებს. ისინი შეავიწროვეს. სომხეთის მოვლენებმა პუტინს სერიოზული დარტყმა მიაყენა. იმიჯის შენარჩუნებისთვის მისი მოთხოვნით 9 მაისს მოსკოვში ჩავა და აღლუმს დაესწრება პაშინიანი, რომელსაც მანამდე პრემიერად დაამტკიცებენ.

***– თუ საქართველოში სიტუაცია აირია, ამით ისარგებლებს სააკაშვილი.***

– თუ მომავალში მოვლენები რევოლუციურად განვითარდა, არ ვიცით, ვინ იქნება ქართველი პაშინიანი. სააკაშვილს კი სომხეთში ჩასვლაც უნდოდა. იქ რომ პროტესტი დაიწყო, სომხეთში აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ ჰოლანდიის საიმიგრაციო სამსახურმა გააჩერა. ამ სამსახურმა სააკაშვილი გააფრთხილა, რომ გამგზავრების შემთხვევაში უკან არ შეუშვებდნენ.

---

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.**

# „გედევან ფოფხაძე, ეკა ბესელია და ნუკრი ქანთარია სამაგალითოდ დასაჯეს“

## კახა კუკავა: „სააკაშვილს „ოცნების“ დამარცხება თუ უნდა, ნაციონალებმა საპრეზიდენტო არჩევნებზე თავიანთი კანდიდატი არ უნდა დააყენონ“



***– ბატონო კახა, რა პროცესები მიმდინარეობს დღეს ქართულ პოლიტიკაში?***

– რა პროცესებზეა საუბარი?! ეს არის ცირკი! კლოუნადაა ის, რასაც ჩვენ ვუყურებთ! ადამიანები საერთოდ ვერ გრძნობენ, რა პოსტებზე არიან და იქცევიან, როგორც საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. ძალიან მარტივი ტესტია, თუ გინდა, რომ რეალური წარმოდგენა შეგექმნას საქართველოს პარლამენტზე, უნდა გადართო რომელიმე ევროპულ არხზე, უყურო მათ პარლამენტის სხდომას, მერე უკან გადმორთო ჩვენს პარლამენტის სხდომაზე და მაშინვე მიხვდებით, თუ რა გასაჭირში ვართ.

***– ასეთ რა გასაჭირში ვართ?***

– ამაზე მეტი რაღა გინდათ? წარმოიდგინეთ, ირაკლი კობახიძეა ჩვენს ქვეყანაში მეორე პირი, ბავშვი, რომელიც შეიძლება მხოლოდ პურის მოსატანად გაუშვა მაღაზიაში. 10-15 წლის წინ ქვეყნის სათავეში პოლიტიკური ფიგურები იყვნენ ხოლმე. დღეს რა ხდება? ცხვირმოუხოცავი ბავშვია ქვეყნის მეორე პირი, პარლამენტის თავმჯდომარე. როდესაც ჩამოდიან უცხოელი სტუმრები და ამ ბავშვს ახვედრებენ, როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს, წარმომიდგენია, რა შთაბეჭდილება ექმნებათ ჩვენს ქვეყანაზე.

***– რას შეცვლის ივანიშვილი?***

– ადამიანი, რომელიც 5 წელია, ქართველ ხალხს ტელევიზორში არ უნახავს, ბიძინა ივანიშვილს ვგულისხმობ, მოვიდა და ჭადრაკის პაიკებივით აურია ეს შენი მთელი კონსტიტუციური ინსტიტუტები, ვიღაცა პოლიტსაბჭოდან გამოიყვანა, ვიღაცა შეიყვანა. ეს პოლიტიკა არ არის!

***– აბა რა არის?***

– ეს არის ქურდული მმართველობა საქართველოში, რომელიც ბევრად უარესია, ვიდრე შევარდნაძისა და სააკაშვილის დროინდელი მართვის სტილი.

***– რა გვითხრა ივანიშვილმა ამ ცვლილებით? რა პრინციპით გაუშვა და დატოვა პოლიტსაბჭოდან ადამიანები?***

– პირველ რიგში, გაყარა ყველა პოლიტსაბჭოდან, ვინც გაბედა და ოდნავ მაინც გამოავლინა თავისი დამოუკიდებელი აზრი – გედევან ფოფხაძე, ეკა ბესელია, ნუკრი ქანთარია დაისაჯნენ სამაგალითოდ იმისთვის, რომ მათ გამოთქვეს და გამოხატეს საკუთარი აზრი. ბიძინა ივანიშვილი არის ათეისტი, ლიბერასტი, რომელიც ებრძვის ყველაფერს ქართულსა და მართლმადიდებლურს! ხედავთ, ხომ, ვინ შეიყვანა პოლიტსაბჭოში გედევან ფოფხაძის მაგივრად – თამარ ჩუგოშვილი! ამას კომენტარი არ სჭირდება.

***– პროცესების რა განვითარებას მივიღებთ?***

– ამის შედეგად არანაირ პროცესებს არ მივიღებთ. „ქართული ოცნება“ არის ცალკე ორგანიზმი. ის არ არის ჩვენი ერის ნაწილი. ის არ არის ქართული. ქართული გვარები კი აქვთ, მაგრამ რაღაცა სხვა ხალხია, სხვა ჯიშია. ეგენი ჩვენთან არანაირ კავშირში არ არიან. პოლიტიკური პროცესები შეიძლება დაიწყოს ოპოზიციურ ფლანგზე.

***– ოპოზიციაც რომ არ გამოიყურება მიმზიდველად?***

– მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციაც ძალიან დასუსტებულია და მესმის, რომ ხალხს ძალიან უყვარს ოპოზიციის კრიტიკა, ეს ოპოზიცია მაინც ჩვენი ნაწილია, ჩვენი ხალხია და რაც ერი, ის ბერიო, რაც ხალხია, ის ოპოზიციაა. ოპოზიციის ფლანგზე უნდა იქნეს გამოკვეთილი ეროვნული ცენტრი, ეროვნულმა ძალებმა უნდა მოახერხონ რაღაცა ფორმით კონსოლიდაცია. ჩვენ უნდა შევქმნათ დიდი ეროვნული კოალიცია. ამ მიმართულებით უნდა დაიწყოს პოლიტიკური პროცესი, თორემ ბიძინა ივანიშვილის კოლბაში პოლიტიკური პროცესი ვერ დაიწყება!

ჩუგოშვილი შეიყვანეს ფოფხაძის მაგივრად, მაგრამ ფოფხაძეც ისევე აქებს ივანიშვილს, როგორც ჩუგოშვილი, ანუ იქ ცოცხალი ორგანიზმი არ არსებობს. ცოცხალი ორგანიზმი თუ არ არსებობს, პროცესები როგორ დაიწყება? ამ კოლბაში ვირუსებიც კი არ არიან. საერთოდ არაფერია. მკვდარია!

***– თქვენ ფოფხაძეახსენეთ და ხომ არ ჯობდა, თავიდანვე გამოეჩინა პრინციპულობა და დაეტოვებინა უმრავლესობა?***

– გედი ჩემი მეგობარია და მე ვუთხარი მას, რომ „ქართულ ოცნებაში“ დარჩენა მისი მხრიდან უხეში პოლიტიკური შეცდომა იყო, როდესაც ნინია კაკაბაძის გამო აპირებდა გამოსვლას და ნინია კაკაბაძეც ძალაში დატოვეს და ზევიდან დაამატეს ჩუგოშვილი.

თავის გადასაწყვეტია. მე გედის ვუთხარი, თუ ის დარჩება ამ ყველაფრის შემდეგ „ქართულ ოცნებაში“, მე ვფიქრობ, რომ მას უკვე ქართველ ხალხთან მისასვლელი პოლიტიკურად აღარ ექნება.

***– პარტიების ნაწილი, დაახლოებით ათამდე პარტიაზეა საუბარი, სააკაშვილის გარშემო ერთიანდება. ამბობენ, რომ ეროვნული ძალები არ მოიაზრებიან მათ გვერდით, ანუ ოპოზიცია კვლავ რამდენიმე ჯგუფად დაიყოფა. ეს პროცესი არ დაგაზარალებთ?***

– მიხეილ სააკაშვილსა და მის პარტიას აქვთ ძალიან სპეციფიკური პოზიცია, მათ ჰყავთ ელექტორატი, თუმცა აგრეთვე აქვთ ძალიან დიდი ანტირეიტინგი. მე მასთან ურთიერთობა არ მაქვს, არ ვიცი, რას ფიქრობს და როგორ უყურებს პროცესებს. თუმცა ერთი რამ მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით ვურჩიო: თუ მას მართლა უნდა ივანიშვილის დამარცხება, მაშინ ნაციონალურმა მოძრაობამ არ უნდა დააყენოს კანდიდატი ამ არჩევნებში და ნაციონალური მოძრაობის ელექტორატმა მხარი უნდა დაუჭიროს არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთიან კანდიდატს.

***– და თუ ჰყავდათ თავიანთი კანდიდატი?***

– როგორც კი ნაციონალური მოძრაობა დააყენებს თავის კანდიდატს, ეს იქნება გარანტია იმისა, რომ ამ არჩევნებს მოიგებს „ქართული ოცნება“. მესმის, რომ შეიძლება არ იყოს ეს მათთვის სასიამოვნო წასაკითხი, მაგრამ ეს არის 100%-ით სიმართლე და ამას წყალი არ გაუვა.

ნაციონალურ მოძრაობასა და არასაპარლამენტო ოპოზიციას შორის თუ გაიყოფა ხმები, ბიძინა ივანიშვილი მოიგებს. თუ ნაციონალურმა მოძრაობამ გააანალიზა ძველი შეცდომები და თუ მართლა უნდა ივანიშვილის დამარცხება, უნდა გადადგას ეს ნაბიჯი.

მათ ივანიშვილმა ბუას როლი დააკისრა. თუ ეს როლი აწყობთ, მაშინ დააყენებენ თავიანთ კანდიდატურას, ისე, როგორც თბილისის მერის არჩევნებზე, ხოლო თუ ეს როლი არ აწყობთ და მართლა უნდათ სისტემის შეცვლა, მაშინ მე ვთქვი ჩემი აზრი და სხვა ალტერნატივა არ არსებობს!

# სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო: „გიორგი ვაშაძე ცდილობს, საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს“

– სოფელ დიდ დმანისში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 16 ჰა მიწის ნაკვეთის იჯარის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი გიორგი ვაშაძე ბოლო დროს გაკეთებული განცხადებებით ცდილობს საზოგადოება შეიყვანოს შეცდომაში და აუქციონის პროცედურებთან დაკავშირებით მთელ რიგ უზუსტობებს ავრცელებს, – განაცხადეს სპეციალურ ბრიფინგზე სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში.

როგორც სააგენტოს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ფიცხე-



ლაურმა აღნიშნა, აუქციონის მიმდინარეობისას ნებისმიერ დაინტერესებულ სუბიექტს სრული შესაძლებლობა ჰქონდა, ადგილზე დაეთვალიერებინა საიჯარო მიწის ნაკვეთი.

– ბატონი გიორგი ვაშაძის 30 აპრილის განცხადებასთან დაკავშირებით გვინდა განვმარტოთ, რომ დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდ დმანისში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის 10 წლის ვადით იჯარით უფლებით გადაცემის მიზნით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წლის 6 მარტს გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი, რომელიც დასრულდა 2018 წლის 20 მარტს. აღნიშნულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად გამოვლინდა ფიზიკური პირი გიორგი ვაშაძე.

აუქციონის მიმდინარეობისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ, გამარჯვებულ პირს ჰქონდა შესაძლებლობა, შესაბამისი აპარატურით აღჭურვილი სააგენტოს უფლებამოსილ პირებთან ერთად დაეთვალიერებინა საიჯარო მიწის ნაკვეთი, გასცნობოდა ტერიტორიაზე არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობასა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებს, – აღნიშნა გიორგი ფიცხელაურმა.

მისივე ინფორმაციით, მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვებაზე გაცემული ლიცენზია, ნაკვეთზე არ არის განთავსებული მართვის პულტი და მიწის ნაკვეთს გააჩნია აუცილებელი მისასვლელი გზა. შესაბამისად, ის არ წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ნივთობრივი ნაკლის მქონე ობიექტს.

– ასევე განგიმარტავთ, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებად მონაცემებს განსაზღვრავს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც განცხადებაში მითითებული გარემოებები ამონაწერში ასახვას არ ექვემდებარება, – აცხადებს ფიცხელაური.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3' მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის აუქციონის ფორმით განკარგვისას შესაბამისი ხელშეკრულება იდება აუქციონის ჩატარებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში. აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების განკარგვისას აუქციონის შედეგები უქმდება, თუ ზემოაღნიშნულ ვადაში საიჯარო უძრავ ქონებაზე შესაბამისი ხელშეკრულება არ გაფორმდება.

კომერსანტი

# დავით ლორთქიფანიძე: „ქართულ ოცნებაში“ ბევრი რამ არის შესაცვლელი“

გულიკო ბალაძე

**პარლამენტის ყოფილი და „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ პრეზიდენტ მარგველაშვილის ქმედებებსა და პოლიტსაბჭოზე საუბრობს. მისი განცხადებით, პრეზიდენტი ფორსმაჟორში აღმოჩნდა და ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამოსავალი, სხდომის დარბაზის დატოვებაში ნახა.**

– პრეზიდენტმა შექმნა სიტუაცია, რომ საკუთარ მოედანზე მოაწყოს შეხვედრა, სადაც მიწვეული იქნებიან დიპლომატები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ჟურნალისტები. იქ თვითონ იქნება იმ სივრცის ბატონ-პატრონი და იქ გააკეთებს განცხადებას მეტად მოცულობითი დეტალებით. თუ მარგველაშვილი ამგვარ შეხვედრას მოაწყობს, იქ განაცხადებს საპრეზიდენტო არჩევნებში მის მონაწილეობაზე, – აცხადებს დავით ლორთქიფანიძე.

***– ბატონო დავით, პარლამენტის უმრავლესობამ პრეზიდენტს ტაში რატომ არ დაუკრა, როცა მივიდა და სიტყვით გამოვიდა?***

– პრეზიდენტისა და უმრავლესობის დამოკიდებულება არ ახალია, პრეზიდენტმა იმდენად მოკლე მოხსენება გააკეთა, პარლამენტი მოულოდნელობისაგან სახტად დარჩა.

***– მარგველაშვილმა დასაწყისში ძალიან ბევრი საკითხი დადებითად შეაფასა. მაგალითად, „ოცნების“ საგარეო პოლიტიკა. ამას არც მოველოდი.***

– რაც მარგველაშვილმა დადებითად შეაფასა, შეუვალი ფაქტები იყო. მაგალითად, ჯანდაცვის სისტემაში გატარებული რეფორმები, რომლის არდანახვა არ იქნებოდა სწორი. მან დადებით კონტექსტში ისაუბრა განათლების სისტემაში გატარებულ რეფორმებზე. ოღონდ მისი განათლების მინისტრობის დროს დაუკავშირა. სხვა რა თქვა პრეზიდენტმა დადებით კონტექსტში? არც არაფერი. აშკარად ამოვარდნილი იყო კონტექსტიდან.

***– მარგველაშვილმა საგარეო პოლიტიკა, რუსეთთან ურთიერთობა დადებითად შეაფასა, არაღიარების პოლიტიკა კარგად გატარდა და რუსეთს აღიარების პოლიტიკა ჩაუვარდაო, რუსეთთან ურთიერთობაში სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკა მთავარი და წარმატებულიაო, რაშიც ოპოზიცია ხელისუფლებას მწვავედ აკრიტიკებს.***

– ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა წარმატებული და შეუქცევადია. ჩვენი ხელისუფლების დროს არ მომხდარა დამატებით ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. ამას მან ხაზი გაუსვა. პრინციპში, მას შეეძლო ეს არ გაეკეთებინა. ჩემთვის მარგველაშვილის სიტყვა ნამდვილად არ არის საპროგრამო და დიდ სიღრმეებში არ წავსულვარ მაგის მოხსენების ანალიზში. მოვისმინე და გაკვირვებული დავრჩი. 20-წუთიან ფორმატში ჩაატია ყველაფერი.

***– იყო თუ არა ისეთი საკითხი, რომელშიც მარგველაშვილს ეთანხმებოდით? ვთქვათ, უარყოფითი რაც თქვა, რაშიც ეთანხმებოდით?***

– უარყოფითი რაც თქვა, იმაში არ ვეთანხმებოდი.

***– თქვენც ხშირად გამოდიოდით კრიტიკით ჩვენს ინტერვიუში, რომ ძალოვან სტრუქტურებში – პროკურატურაში, პოლიციაში, სასამართლოში კვლავ მუშაობენ ისეთი ადამიანები, რომლებისაგანაც საჭირო იყო სისტემის გათავისუფლება.***

– მაგ ნაწილში პრეზიდენტს ვეთანხმები, მაგრამ პრეზიდენტი პოლიტიკური თანამდებობის პირია. მან უნდა მოახდინოს კონკრეტიზაცია. ზოგადი განცხადება სწორი არ არის. თუ დააკონკრეტებდა, ეს საქმიანი მიდგომა იქნებოდა. მისი რანგის თანამდებობის პირისთვის ზოგადი ნიშნულები მისაღები არ იყო. მას გვარები და სახელები უნდა დაესახელებინა. პრეზიდენტის გამოსვლა პროცესების გაჯანსაღებისკენ უნდა იყოს მიმართული და არა ბუნდოვანებისკენ.

***– მგონი, პრეზიდენტი პარლამენტში მისი ვიზიტის პირველ ეტაპზე ერიდებოდა ვითარების გამწვავებას უმრავლესობასთან.***

– მე ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა ისეთი მოკლე, კონკრეტიკისაგან დაცლილი სიტყვა.

***– პარლამენტიდან პრეზიდენტის გაქცევის მიზეზიც ბუნდოვანი დარჩა?***

– ვფიქრობ, თავისი მოკლე მოხსენების გამო, თვითონ მარგველაშვილსაც დარჩა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. როცა დაიწყო ინდივიდუალური გამოსვლები, მან ჩათვალა, ძალიან ბევრი ნეგატივი დაგროვდებოდა მის მიმართ და ბოლო შეჯამებისას ველარ მოახერხებდა მის გაქარწყლებას. უნდოდა, ყველა გამომსვლელის შემდეგ ეპასუხა. მან იცოდა, რა ფორმატში მოუწევდა მუშაობა. ბიუროზე ამ საკითხის დეტალურ განხილვას მისი საპარლამენტო მდივანი ესწრებოდა. იქ ყველაფერი წინასწარ იყო გაწერილი. პრეზიდენტი ფორსმაჟორში აღმოჩნდა და ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამოსავალი, სხდომის დარბაზის დატოვებაში ნახა.

***– როგორც უნდოდა, ისეთ რეჟიმში რომ ჩაეყენებინა უმრავლესობას მარგველაშვილი, რა მოხდებოდა? რა, უმრავლესობის წევრებს მისთვის პასუხის გაცემა არ შეეძლოთ თუ პრეზიდენტი ისეთ რამეს იტყოდა, რაც არ იქნებოდა მისაღები?***

– არსებობს კანონი და არსებობს დამკვიდრებული პრაქტიკა. მისი მოთხოვნა არც ერთს არ მიესადაგებოდა. თუმცა, თუ იქნებოდა პოლიტიკური შეთანხმება, მაგრამ არა უშუალოდ სხდომის მიმდინარეობის დროს, არამედ მანამდე, შეიძლებოდა მისი მოთხოვნის გათვალისწინება.

***– ისე, სანამ დეპუტატები იხილავდნენ, დაეკმაყოფილებინათ თუ არა მარგველაშვილის მოთხოვნა, მას უკვე ზესტაფონი ჰქონდა გამოვლილი. შთაბეჭდილება დამრჩა, საკითხი კენჭისყრაზე რომ დაეყენებინათ, შეიძლება მარგველაშვილს მისცემოდა შიდა დებატებში ჩართვის საშუალება.***

– სწორედ მაგას გეუბნებით, ფორსმაჟორი შეიქმნა, მოვლენები გაუთვალისწინებელი მიმართულებით განვითარდა, თორემ არ გამოვრიცხავ, მარგველაშვილს მისცემოდა შიდა დებატებში ჩართვის საშუალება. პარლამენტის წევრებიც ადამიანები არიან. შეიძლებოდა ამგვარი გადაწყვეტილება მიეღოთ. მარგველაშვილმა თავად შექმნა ფორსმაჟორი, სადაც წესების ადგილი აღარ არის.

***– უმრავლესობამ პრეზიდენტს სატელევიზიო დებატები შესთავაზა, რასაც არ დაეთანხმნენ.***

– არანაირი დებატები არ გაიმართება. მან შექმნა სიტუაცია, რომ საკუთარ მოედანზე მოაწყოს შეხვედრა, სადაც მიწვეული იქნებიან დიპლომატები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ჟურნალისტები და იქ თვითონ იყოს იმ სივრცის ბატონ-პატრონი და გააკეთოს განცხადება მეტად მოცულობითი დეტალებით. თუ მარგველაშვილი ამგვარ შეხვედრას მოაწყობს, ვფიქრობ, ის ამ შეხვედრაზე განაცხადებს საპრეზიდენტო არჩევნებში მის მონაწილეობაზე.

***– რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას?***

– ჩემი პოლიტიკური გამოცდილება მკარნახობს, რომ ის ამას გააკეთებს.

***– პირველი არჩევნების დროს მას ჰქონდა ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა. ამ შემთხვევაში რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს მარგველაშვილს საარჩევნო კამპანიაში ჩაბმისას?***

– არაერთი წელია ვარ პოლიტიკაში და საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში არ გამიკვირდება, თუ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მარგველაშვილთან ერთად წარმოადგენენ ახალ გუნდს. არაერთხელ ითქვა, მარგველაშვილთან მოლაპარაკება მიმდინარეობსო, შემდეგ უარყვეს. ასე რომ, ჯერ ვითარება დუღილის დონეზეა. არ გამოვრიცხავ, რომ ის წარმოდგეს გუნდთან ერთად. დღევანდელი მდგომარეობა მაძლევს საშუალებას ვიფიქრო, რომ მას ამის მცდელობა ექნება და ექნებათ სხვა პოლიტიკურ ძალებს.

***– ბიძინა ივანიშვილი ალბათ თვალყურს ადევნებდა მარგველაშვილის ვიზიტს პარლამენტში? საინტერესოა, რა შთაბეჭდილება დარჩა ბიძინა ივანიშვილს?***

– ერთი კვირის წინ, ჩემთვის რომ გეკითხათ, ვიტყოდი, რომ ბიძინა ივანიშვილს არ აინტერესებს, მარგველაშვილი როგორ გამოვა პარლამენტში-მეთქი, მაგრამ დღეს ეჭვი არ არის. ბიძინა ივანიშვილი არის პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე და, ბუნებრივია, არ შეიძლება მმართველი პარტიის თავმჯდომარე არ იყოს დაინტერესებული პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლით. ამიტომ ნახავდა პრეზიდენტის გამოსვლას და პრეზიდენტის მოქმედებებით, ბუნებრივია, აღფრთოვანებული არ დარჩებოდა.

დავით ლორთქიფანიძემ პოლიტსაბჭოს ცვლილებებზეც ისაუბრა. მისი თქმით, მათ, ვინც პოლიტსაბჭოდან გაიყვანეს, განმარტება უნდა გააკეთონ.

***– ბატონო დავით, პოლიტსაბჭოს ცვლილებებს როგორ აფასებთ? კიდევ ხომ არ არის მოსალოდნელი ცვლილებები?***

– წარმოდგენილია პოლიტსაბჭოს სავარაუდო ხელმძღვანელობა. ვფიქრობ, ჩვენი მხარდამჭერები პოლიტსაბჭოში ბევრად უფრო ბევრ ცვლილებას ელოდებიან.

***– რადიკალური ცვლილებებია საჭირო? მეც მესმის საუბრები, რომ ახალი პოლიტსაბჭოს შემადგენლობით დიდად აღფრთოვანებულები არ დარჩნენ.***

– პოლიტსაბჭოს შემადგენლობით ვინ დარჩა კმაყოფილი და ვინ არა, ეს შეფასებები სუბიექტურია. ამაზე არჩევნები და გამოკითხვა არ ტარდება. უბრალოდ, პოლიტსაბჭო გადახალისდა და ახალი ადამიანები დაემატა.

ის ჯგუფი, რომელიც ბოლო პერიოდში კატეგორიულ პოზიციას აფიქსირებდა მეორე ჯგუფის მიმართ, ფაქტობრივად, გამოყვანილია პოლიტსაბჭოდან. მე ამ ადამიანებისაგან პოზიციის დაფიქსირებას ველოდები, რას ფიქრობენ.

***– რა უნდა იფიქრონ?***

– იმას არ ვამბობ, რომ უნდა გამოვიდნენ და



ბოიკოტი განახორციელონ. ძალიან ბევრი ადამიანის პოზიცია მოვისმინე, სოციალურ ქსელებში გავეცანი ადამიანების აზრებს და, ვფიქრობ, ჩვენი მხარდამჭერები, რომლებიც 2012 წლიდან იყვნენ ამ გუნდის ავანგარდში, იმსახურებენ, მოისმინონ განმარტება ამ ადამიანებისგან. ფაქტობრივად, მათი პოლიტსაბჭოდან გამოყვანის შემდეგ, არავითარ განმარტებას არ აკეთებენ. მათ უნდა გააკეთონ განმარტება, ვინც პარტიულ სტრუქტურებში იყო ჩართული, მაგრამ ახლა იქ აღარ არიან.

***– ფოფხაძემ განაცხადა, რომ მესაჭე ადგილზეა (ანუ ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა), რომელიც მართავს. დანარჩენი მეორეხარისხოვანიაო. ცოტა ადრე ისიც თქვა, პარტიიდან რატომ წავალ, როცა ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდაო. ანუ რაღაც განმარტება იყო.***

– მე არ ვამბობ, ჩვენ პარტიიდან უნდა წავიდეთ. უბრალოდ, ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო მეტი სიცხადეა საჭირო. პარტია მხოლოდ პოლიტსაბჭო არ არის. მას გააჩნია სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიის გამართულ საქმიანობას. მე მესმის განცხადებები იმის შესახებ, რომ პარტია ვერ შედგა, პარტია არჩევნებიდან არჩევნებამდეა. გახსოვთ ალბათ, მე ვამბობდი, რომ პარტია უნდა იყოს არჩევნებიდან არჩევნებამდე.

ვფიქრობ, თვისობრივად უნდა შევცვალოთ რაიონულ ორგანიზაციებთან დამოკიდებულება. როდესაც ბატონი პრემიერი აფიქსირებს, პარტია ვერ აეწყო, ვერ შედგაო, აქედან გამომდინარე, პარტიის ახალმა თავმჯდომარემ რაიონულ სტრუქტურებში რადიკალური ცვლილებები უნდა განახორციელოს. პარტია უნდა გახდეს ქმედითი, ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც არ იქნება მხოლოდ არჩევნების დღეს მოქმედი. უნდა იყოს ღია და გახსნილი. იმ ადამიანების იგნორირება, რომლებმაც გარკვეული როლი შეასრულეს 2012 წელს, არ წაადგება საქმეს. ამ ადამიანებს უნდა დაველაპარაკოთ, როდესაც ადამიანები ამბობენ, მათ ჰქონდათ კომუნიკაცია ადგილზე კონკრეტულ პირებთან და ყველაფერი კარგად არ არისო, უნდა მოვუსმინოთ. უმეტეს შემთხვევაში, არაფერი შეცვლილა. ამ ადამიანებს პრობლემები მოემატათ.

ვფიქრობ, ბატონ ბიძინას პარტიის შიგნით ისეთი სტრუქტურის შექმნა დასჭირდება, რომელიც არ იქნება კონიუნქტურას მორგებული და მისი მეშვეობით სწორი ინფორმაცია მიეწოდება. როდესაც ადამიანი არ არის შენი თანამებრძოლი და გუნდში შემოიყვან, ის სწორ ინფორმაციას არ მიაწვდის. იტყვის, რომ ყველაფერი კარგად არისო. მაშინ რა სჯიდა პრემიერ-მინისტრს და პარტიის მაშინდელ თავმჯდომარეს, რომ განაცხადა, ვინც ჩვენთან ერთად იბრძოდა 2012 წელს, მათ მიმართ უფრო მეტი ყურადღებაა საჭიროო. ბიძინა ივანიშვილი ამბობდა, რომ პოლიტიკაში მაშინ დაბრუნდებოდა, თუ ცუდად იქნებოდა საქმე. ე.წ. საქმე ცუდად იყო, რომ დაბრუნდა. ის რაც არის ადგილებზე, პარტიულ მშენებლობას არ წაადგება.

***– ბატონო დავით, ვანი-ხონის არჩევნებში დეპუტატობის ერთ-ერთმა კანდიდატმა „ახალ თაობას“ უთხრა, უნდა გენახათ, როგორ ზეიმობდნენ უგულავას შტაბშიო. ოცნების კანდიდატმა გაიმარჯვა და ევრონაცები ზეიმობდნენ, რადგან ძალიან დიდი პროცენტი მიიღეს. უგულავას 38%-ს რას მიაწერთ?***

– ყველაფერ ამას მივაწერ იმას, რაც აქამდე ვილაპარაკე. რაიონებში არასახარბიელო სიტუაციაა. 40%-ის ფარგლებში ხმების მიღება ნიშნავს, რომ არჩევნების ბედი წკიპზე იყო, ანუ შეიძლება მეორე ტური გამხდარიყო საჭირო, რაც კატასტროფა იქნებოდა. პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ ბატონ ბიძინას ხუთშაბათს განცხადება რომ არ გაეკეთებინა, ვანსა და ხონში შაბათის არჩევნების შედეგები შეიძლება სხვაგვარი ყოფილიყო. არ ვამბობ, უგულავა მოიგებდა, მაგრამ ოდნავ მეტ ხმებს აიღებდა. ვინც ორჭოფობდა, ბიძინას განცხადების შემდეგ, „ოცნების“ მხარეს დადგა. ადგილებზე აუცილებელია (კარგი გაგებით) რევიზიის ჩატარება.

# მამუკა ბახტაძე: „ლომბარდებთან დაკავშირებით მაისში ახალ თამაშის წესებს მივიღებთ“





ფინანსთა მინისტრ მამუკა ბახტაძის განცხადებით, ლომბარდებთან დაკავშირებით ახალი რეგულაციები მიმდინარე თვეში დაწესდება. როგორც ბახტაძემ „ინტერპრესნიუსს“ ფილიპინებში, ქალაქ მანილაში განუცხადა, ავტომობილებისა და უძრავი ქონების დალომბარდება ძალიან ნეგატიური პრაქტიკაა და ამ მიმართულებით პრინციპული ნაბიჯები გადაიდგმება.

– მნიშვნელოვანია, უმოკლეს ვადებში და ეს მაისს არ გასცდეს, მივიღოთ ახალი თამაშის წესები ლომბარდებთან დაკავშირებით. ის საქმიანობა, რომელიც განსაკუთრებით უკავშირდება ავტომობილების და უძრავი ქონების დალომბარდებას, არის ძალიან ნეგატიური პრაქტიკა. ეს მომხმარებლებზე ცუდად აისახება და ხშირ შემთხვევაში გახდა კრიმინალის წყაროც. ამიტომ, მე ვფიქრობ, ამ მიმართულებითაც უნდა გადავდგათ პრინციპული ნაბიჯები. გვჭირდება პრინციპულად და ხარისხობრივად ახალი წესები, – განაცხადა ბახტაძემ.

საქსტატის ინფორმაციით, 2017 წელს საქართველოში მოქმედ ლომბარდებს 609.000-ზე მეტი მსესხებელი ჰყავდათ. 2017 წლის ბოლოსთვის საქართველოში სალომბარდო საქმიანობით დაკავებული 875 მოქმედი ორგანიზაცია (ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა) დაფიქსირდა. მათივე ინფორმაციით, გაცემული სესხების მოცულობამ 405,8 მლნ ლარი შეადგინა. რაც შეეხება მსესხებელთა რაოდენობას, საქართველოში მოქმედ ლომბარდებში, 2017 წლის განმავლობაში მსესხებელთა (კლიენტთა) რაოდენობა 609,4 ათასი ერთეულით განისაზღვრა. აქედან თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა დაახლოებით 99,6% ანუ 606.9 ათასი ფიზიკური პირი იყო.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რა პრობლემები შეიძლება შეუქმნას ახალმა რეგულაციებმა ლომბარდებს და ხომ არ გამოიწვევს ცვლილებები არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა რიცხვის შემცირებას.

ახალ ინიციატივას რისკიანს უწოდებს არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ბერძენაძე. იგი თვლის, რომ არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტში საჭიროა თამაშის წესები, რომელიც ბაზარს დაარეგულირებს. თუმცა, რეგულაციები ნელი ტემპით უნდა გატარდეს, რათა ბიზნესი არ დაზარალდეს. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ კერძო მევახშეები გააკონტროლოს, რათა მოსახლეობის უფრო დიდი ზიანი არ მიადგეს.

– მე ვფიქრობ, რომ ლომბარდი გარკვეულწილად არის დასარეგულირებელი. არ შეიძლება, ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც მივა სესხის ასაღებად, ყოველგვარი შემოსავლის დადასტურების გარეშე მიიღოს სესხი.

აუცილებელია ბაზარზე მსუბუქი რეგულაციების რეჟიმის არსებობა, კერძოდ, არ უნდა გაიცეს სესხი შემოსავლის დადასტურების გარეშე, უნდა იყოს მოცემული მაქსიმალური ჯარიმის ოდენობა, უნდა იყოს განსაზღვრული მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი ასევე სესხი უნდა გაიცეს ე.წ. კლებადი გრაფიკით, რათა ადამიანმა მხოლოდ პროცენტი არ იხადოს.

თუ ამ რეგულაციებს მკაცრად დავუწესებთ ლომბარდს, სად წავა ეს ხალხი? როდესაც ჩვენ გვაქვს ალტერნატიული ბაზარი – კერძო მევახშეები, კლიენტისთვის არაფერი შეიცვლება, სიტუაცია უფრო გაუარესდება. აუცილებელია, სახელმწიფომ ამ მიმართულებით რეგულაციები გაატაროს. მოსახლეობა სასესხო პირამიდაშია ჩართული. თუ ეს ადამიანები სესხს ვეღარ აიღებენ, ეს ძალიან ცუდ შედეგს გამოიღებს, – აღნიშნავს ირაკლი ბერძენაძე.

საფრთხეებზე საუბრობს სალომბარდო საქმიანობით დაკავებული შპს „კრედლაინის“ ბიზნესოპერატორიც – ინიციატივა ბიზნესისთვის საზიანო იქნება.

მიკროსაფინანსო კომპანია „კრედლაინის“ გაყიდვების მენეჯერი არტურ ეირეპეტიანი განმარტავს, რომ რეგულაციები ძალიან არ უნდა გამკაცრდეს, რათა საქმიანობის გაგრძელება შეძლონ.

– ვფიქრობ, რეგულაციები უნდა არსებობდეს, მაგრამ ძალიან არ უნდა გამკაცრდეს. უძრავ ქონებაზე მოთხოვნა ბაზარზე არის და დაახლოებით 30 პროცენტია, რაც შეეხება ავტოლომბარდების შემთხვევაში მომართვიანობა ძალიან ხშირია, დაახლოებით 70-80 პროცენტია. ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება თავისი პირადი ქონებით ისარგებლოს და მიიღოს სესხი. ცვლილებები ძალიან ცუდად აისახება ჩვენ ბიზნესზე და ჩვენ საქმიანობაზე. არანაირ საშუალება და სამუშაო პირობა არ გვექნება. თუ ძალიან გამკაცრდება რეგულაციები ბიზნესსაქმიანობის შეწყვეტა მოგვიწევს, ბევრი ადამიანი დაკარგავს სამსახურს, ბიუჯეტი იზარალებს ამით. პროცესი 90-იან წლებს დაემსგავსება, როდესაც თანხის ხელზე აღება ხდებოდა, – განაცხადა არტურ ეირეპეტიანმა.

ახალი რეგულაციები სრულად მისაღებია იმ სალომბარდო საქმიანობით დაკავებული ბიზნესოპერატორებისთვის, რომლებიც სახლისა და ავტომანქანის დალომბარდებას არ ახორციელებენ.

– ჩემი აზრით, ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილება სწორი იქნება. გადამხდელუნარიან კლიენტს თუ შემოსავალი აქვს და ადასტურებს შემოსავალს, ის ლომბარდში ავტომობილებისა და უძრავი ქონების დალომბარდებისთვის არ მიდის. ხშირია შემთხვევა, როდესაც კლიენტი ვერ ადასტურებს შემოსავალს, ბანკი მას სესხს არ აძლევს, რის შემდეგაც ის ლომბარდს მიმართავს და კარგავს უძრავ ქონებას, – აცხადებს შპს „გოლდ კრედიტის“ წარმომადგენელი ვლადიმერ რობაქიძე.

**კომერსანტი**

# საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები თურქეთი, რუსეთი და ჩინეთი არიან

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე 10.707.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13.8 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 2.728.0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (29.1 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 7.979.4 მლნ. აშშ დოლარს (9.4 პროცენტით მეტი).

დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2017 წელს 5.251.5 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 49.0 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე 2.063.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 24.5 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.




საქსტატის ინფორმაციით, 2017 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2.844.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 2.0 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 646.5 მლნ. აშშ დოლარი იყო (13.0 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 2.197.5 მლნ. აშშ დოლარი (0.8 პროცენტით ნაკლები).

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2017 წელს 3.541.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2016 წელთან შედარებით 30.2 პროცენტით მეტი). აქედან ექსპორტი 1.180.7 მლნ. აშშ დოლარი (60.0 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 2.360.9 მლნ. აშშ დოლარი იყო (19.2 პროცენტით მეტი).

კვლევაში ვკითხულობთ, რომ საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი თურქეთია (1.589.4 მლნ. აშშ დოლარი), მეორე ადგილს რუსეთი იკავებს (1.183.7 მლნ. აშშ დოლარი) ხოლო მესამე პოზიცია ჩინეთს ეკუთვნის. 2017 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.7 პროცენტი შეადგინა.

საქსტატის წლიური ანგარიშის მიხედვით 2017 წელს, სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა, 419.8 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 15.4 პროცენტი შეადგინა. ფეროშენადნობების ექსპორტი 306.9 მლნ. აშშ დოლარს და შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 11.3 პროცენტს უდრიდა. მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების ჯგუფი იმყოფებოდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 234.9 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 8.6 პროცენტი შეადგინა. უმსხვილეს საექსპორტო ქვეყნებში რუსეთი ლიდერობს, მას მოჰყვება აზერბაიჯანი, მესამე ადგილი კი თურქეთს ერგო, მეოთხე-მეხუთე ადგილს სომხეთი და ჩინეთი ინაწილებენ, შემდეგ მოჰყვება ბულგარეთი, უკრაინა, აშშ, ირანი და ბოლო მეათე ადგილს რუმინეთი იკავებს.

რაც შეეხება იმპორტს უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2017 წელს ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო, რომლის იმპორტმა 696.6 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 8.7 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილზე იმყოფებოდა მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი 474.4 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 5.9 პროცენტი იყო. მესამე ადგილზე ნავთობის აირების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა 350.4 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 4.4 პროცენტი). ათი უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნის სია შემდეგნაირად გამოიყურება: თურქეთი, რუსეთი, ჩინეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, გერმანია, სომხეთი, აშშ, იტალია, რუმინეთი.

**კომერსანტი**

# ქართული ლურჯი მოცვი, აზიისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ, შეიძლება ჩინეთის ბაზარზეც გაიდეს



ადგილობრივ ბაზარზე ლურჯი მოცვის ბაღების გაშენების ტენდენცია ყოველწლიურად იზრდება. პროდუქტი თავისი მაღალი ღირებულების, გემოსა და სამკურნალო თვისებების გათვალისწინებით, მოთხოვნადია საერთაშორისო ბაზარზეც. შესაბამისად, დღეს უკვე არაერთი ადგილობრივი კომპანია თუ ფერმერი ლურჯი მოცვის ბიზნესითაა დაკავებული. მათ შორის ერთ-ერთი ასეთი კომპანიაა „აგროლეინი“, რომელიც უახლოეს მომავალში ლურჯი მოცვისგან სხვადასხვა პროდუქტის მიღებასაც გეგმავს. კერძოდ, სავარაუდოდ, მომავალი წლის მაისის ბოლოს ადგილობრივ ბაზარზე პირველად ლურჯი მოცვის ჩირი გამოჩნდება.

– ზოგადად ლურჯი მოცვის ბიზნესი საკმაოდ მომგებიანია და ამას ჩვენი გაყიდვებიც ადასტურებს. ადგილობრივი ბაზრის გარდა პროდუქტი გაგვაქვს ექსპორტზეც. ამ ეტაპზე კი ვცდილობთ, რომ მოცვისგან შევქმნათ სხვა პროდუქტებიც. კერძოდ, საუბარია მოცვის ჩირზე. ქართული წარმოების მსგავსი პროდუქტი არ მოიპოვება, თანაც ჩვენ ვაპირებთ სრულიად განსხვავებული ტექნოლოგიით დავამზადოთ ჩირი, – განმარტავს „აგროლეინის“ დირექტორი გიორგი ღვინიაშვილი.

რაც შეეხება ტექნოლოგიასა და მომზადების განსხვავებულ წესს, როგორც გიორგი ღვინიაშვილი განმარტავს, კომპანია აპირებს, შეიძინოს შესაბამისი დანადგარი. გემოთი კი ეს იქნება სრულიად განსხვავებული პროდუქტი.

– კლასიკური ჩირი მიიღება შრობისგან, ამ შემთხვევაში კი ჩვენ ვაპირებთ მას დავუმატოთ შაქარი და სპეციალური ტექნოლოგიის საშუალებით პროდუქტი ხდება პრიალა, ძალიან რბილი და ბევრად გემრიელი, ვიდრე უბრალოდ ჩირი. ნებისმიერი იმპორტირებული ჩირი სწორედ ამ ტექნოლოგიით მზადდება, მაგრამ ადგილობრივი წარმოების არ მოგვეპოვება. ამ ეტაპზე დაგეგმარების პროცესში ვართ, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ ლურჯი მოცვის ჩირი გაყიდვაში უკვე მომავალი წლის მაისის ბოლოს ჩაეშვება, – აღნიშნავს ღვინიაშვილი.

გარდა იმისა, რომ ლურჯი მოცვი არის მკვეთრად მომგებიანი ბიზნესი, დარგის სპეციალისტები განმარტავენ, რომ ეს არის ქართული ჩაის ალტერნატივაც. კერძოდ, დასავლეთ საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციები უმეტესად გაველურებულია, მათ ადგილას კი ფერმერებს სწორედ ლურჯი მოცვი მოჰყავთ.

– საქმე იმაშია, რომ ლურჯ მოცვს სჭირდება მჟავე ნიადაგი, ეს კი ის მიწაა, სადაც გაველურებული ჩაის პლანტაციებია. იმიტომ, რომ ჩაის აღდგენა ფაქტობრივად შეუძლებელია, ფერმერები სულ უფრო აქტიურად აშენებენ ლურჯ მოცვს, თანაც ეს უკანასკნელი ბევრად ძვირადღირებული პროდუქტია და მოგებაც გაცილებით მეტია. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ჩაის ალტერნატივაა, – განმარტავს „აგროლეინის“ დირექტორი გიორგი ღვინიაშვილი.

– იმ ფერმერებსაც, რომელთაც საკმაოდ მცირე ფართობის მიწა აქვთ, ლურჯი მოცვის მოყვანა ურჩევნიათ, ვიდრე ჩაის. მიზეზი მარტივია – ეს ბიზნესი ბევრად წარმატებულია. გაველურებული ჩაის აღდგენა რომც შესაძლებელი იყოს, ნებისმიერ შემთხვევაში მოცვის მოყვანა ჯობია, – ამბობს „აგროსოლუშენის“ კომერციული დირექტორი ირაკლი ჩიქავა.

რაც შეეხება ლურჯი მოცვის ექსპორტს, ცნობილია, რომ ადგილობრივი პროდუქტი ხარისხითაც, შეფუთვითაც და ფასითაც საკმაოდ კონკურენტულია. პროდუქტი წარმატებით იყიდება აზიის ბაზარზე და დიდ ბრიტანეთში. სულ მალე კი შესაძლოა ჩინეთის ბაზარზეც ვიხილოთ.

– ნოემბერში ვაპირებთ ჩინეთში დაგეგმილ საერთაშორისო გამოფენაზე მივიღოთ მონაწილეობა, რის შემდეგაც პოტენციურ მყიდველებთან მოლაპარაკებასაც შევძლებთ. აღსანიშნავია, რომ ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება პროდუქტის დაუბეგრავად შეტანის საშუალებას გვაძლევს, ამიტომ სხვა კონკურენტ ქვეყნებთან შედარებით ჩვენი მოცვი 30%-ით იაფი ეღირება, ანუ ფასში მოვუგებთ. ამჟამად კი პროდუქცია გაგვაქვს დუბაიში, კუვეიტსა და ყატარში. სხვების მსგავსად, ვფიქრობთ, ევროპის ბაზარზე გასვლასაც, – განმარტავს ღვინიაშვილი.

– ბოლო 25 წელში ლურჯი მოცვის მოხმარების ტენდენცია მსოფლიოში 800 %-ით არის გაზრდილი, ანუ ძალიან მოთხოვნადი პროდუქტია. რაც შეეხება ჩვენს ბაზარს, აღსანიშნავია რომ მომავალი წელი იქნება განსაკუთრებით დიდი მოგების მომტანი, რადგან ბოლო 2-3 წელში იმ ფერმერთა რაოდენობამ მკვეთრად იმატა, ვინც მოცვის გაშენებითა დაინტერესებული. შესაბამისად, მოსავალი იქნება გაისად. ამ მხრივ ბაზარი საკმაოდ წარმატებულია, თუმცა, რა თქმა უნდა, სრულად ათვისებული ჯერ არ არის, – განმარტავს ირაკლი ჩიქავა.

**კომერსანტი**

# „ბავშვი ბიჭას გამოუტყდა, რომ დედა და მისი ქმარი ისე იქცეოდნენ, ბესიკის იმიტომ იყო იქ ჩასული“

## რა გახდა ხაშურში მომხდარი მკვლელობის მიზეზი

იმედინიუსისთვის ხაშურში მომხდარი მკვლელობის ახალი დეტალები გახდა ცნობილი.

ბესიკ ომიაძის ყოფილმა რძალმა მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, საკუთარი 3 შვილიდან ერთ-ერთი, 8 წლის ბიჭი, ბესიკის სახლიდან თავის სახლში მამინაცვლის გასაცნობად წაიყვანა. სახლში დაბრუნებული ბავშვი 24 საათის განმავლობაში უტყვი და ურეაქციო იყო. ბოლოს ბიძას და ბიცოლას გამოუტყდა, რომ დედა და მისი ქმარი ბავშვის თვალწინ ისე იქცეოდნენ, რამაც მასზე ძალიან იმოქმედა და თან ეუბნებოდნენ — რა იყო, ხომ არ ეჭვიანობო.

ამ ამბის გამგონე ბესიკ ომიაძე ყოფილ რძალთან იმის სათქმელად გაემგზავრა, რომ როცა ის შვილებთან კონტაქტს გადაწყვეტდა, ამ შეხვედრისთვის თავისი ახალი მეუღლე მოერიდებინა.

ამ დრომდე უცნობია, რა მოხდა რეალურად იმ სახლში, სადაც ბესო ომიაძე, როგორც მისი ოჯახი ამტკიცებს, უიარაღოდ და აბსოლუტურად ფხიზელი ჩავიდა, იქ კი გაშლილი სუფრა და შეზარხოშებული ადამიანები დახვდნენ.

პოლიციამ მკვლელობის ფაქტზე უკვე დააკავა ერთი პირი, რომელიც გარდაცვლილის ყოფილი რძლის ახალი ქმარია. ის ერთხელ უკვე ნასამართლევია მკვლელობისთვის ისრაელში.

ხაშურში კი მკვლელობა 3 მაისს, გვიან ღამით მოხდა. ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს და 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

* * *

ხაშურში მომხდარი მკვლელობის ფაქტს ჟურნალისტი დაჩი გრძელიშვილი ფეისბუქზე გამოეხმაურა.

ამ მკვლელობის დაჩისეული ვერსია სრულიად საპირისპირო სურათს ქმნის მომხდარზე, ვიდრე ის აქამდე იყო წარმოდგენილი.




„ძალიან არ მინდა ამ სიტყვების დაწერა. იმიტომ, რომ ცრემლიც და სისხლიც ერთნაირად მაქვს გამშრალი. გუშინწინ ჩემი ბავშვობის მეგობარი მოკლეს — ბესო ომიაძე. სენტიმენტები მძულს. დარდიც მარტო მირჩევნია და ამ სიტყვების წასაკითხად არ მოგაცდენდით, რომ არა ერთი გარემოება — გუშინდელის მერე ბესო რამდენჯერმე მოკლეს. იმდენჯერ, რამდენჯერაც ამა თუ იმ ტელევიზიაში თუ ვებზე სიუჟეტი გავიდა. ცალმხრივად მომზადებული სიუჟეტი, სადაც მეორე მხარეს ექსკლუზიურად და ცალსახად აქვს საშუალება მიცემული, ყოველგვარი გამოძიების და ექსპერტიზის გარეშე, ბესო ომიაძეს თავდამსხმელი, მოძალადე, ნარკომანი, მკვლელი და ათასი საზიზღრობა უწოდოს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ერთი წელი ბესო ომიაძე თავის ოჯახში, თავის ოთხ შვილთან ერთად, ამ სიუჟეტებში გამოსული ცილისმწამებელი ქალბატონის სამ შვილსაც ზრდიდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ერთი წელი ბესო ომიაძის ოჯახს და მათ შვიდ შვილს ამ ქალბატონისგან სტრესის, შეურაცხჰყოფის და ინტრიგების მეტი არაფერი ახსოვს. ამ მკვლელობის წინაპირობის დეტალებს აღარ განვავრცობ — არ მინდა მავანის უმსგავსობის მყრალი სუნით შეგაწუხოთ...

და მე გულწრფელად არ ვიცი, რა გავაკეთო — ყველა მედიას ჩამოვუარო და სათითაოდ მოვუყვე, როგორ ზრდიდა ბესო ერეკლეს, თევდორეს, თეკლეს და თორნიკეს? როგორი ურთიერთობა ჰქონდა მეუღლესთან? თორმეტი წლიდან დაობლებულმა, უმცროსი ძმა მარტომ როგორ გაზარდა? ან რა მოხდა მკვლელობის წინა ღამეს, ჰქონდა თუ არა წინაპირობა ბესოს ამ სოფელში ჩასვლას? ჩემო კოლეგებო — მეგობრებო, ნაცნობებო და უცნობებო... მართლა არ ვიცი რა ვქნა იმისთვის, რომ ჩემი მეგობრის მკვლელობა მისი მკვლელობის შემდეგაც უსასრულოდ არ გაგრძელდეს“ — წერს დაჩი გრძელიშვილი.

# მარგველაშვილი — „მაკას ძმა ნამდვილად შევიწყალე“



პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საჯაროდ აღიარა, რომ მან ნამდვილად შეიწყალა თავისი მეუღლის, მაკა ჩიჩუას ძმა მიხეილ მგალობლიშვილი.

მისი შეწყალების მიზეზი პრეზიდენტმა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში განმარტა.

— ერთი ადამიანი შევიწყალე და ეს იყო მაკას ძმა. ანალოგიური ბრალდებით არაერთი პატიმარი მყავს შეწყალებული. იყო ფაქტორი, რომ იყო მაკას ძმა? რა თქმა უნდა, ვიცნობდი ადამიანს. როდესაც მე ვიღაცა რეკომენდაციას მეუბნება, რომ კარგი ადამიანია და რაღაცას მიყვება რომელიღაც პატიმარზე, რა გგონიათ, ეს ამ კომისიაზე არ ახდენს გავლენას, ან ადვოკატის პოზიცია არ ახდენს გავლენას?

მე არ შემიწყალებია მაკას ძმა ისეთი დანაშაულისთვის, რისთვისაც სხვა არ შემიწყალებია. ეს არ იყო გამონაკლისი. და ახლა გადავიდეთ მეორეზე, რომ მაკას ბიძაშვილის ყოფილი ქმარი თურმე შემიწყალებია, ეს არც ვიცოდი. ამას არ ვიხილავდი და მე კი არა, კომისიამაც, ბუნებრივია, არ იცოდა. შენ წარმოგიდგენია, რომ 3500 შეწყალებულს შორის ახლობელი არავინ იყოს?! — განაცხადა მარგველაშვილმა.

მიხეილ მგალობლიშვილი რამდენჯერმე არის ნასამართლევი. მას 17 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, თუმცა პრეზიდენტმა შეწყალების წესით 2015 წელს გაათავისუფლა. მან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მხოლოდ 3 წელი გაატარა.

მიხეილ მგალობლიშვილი 2011 წლის მაისში ჯგუფური და განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის დააკავეს. პირველად კი ის 2008 წელს ნარკოტიკების მოხმარებისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის დააპატიმრეს და 2 წლით პატიმრობა მიესაჯა. ამნისტიის შეხების შემდეგ მგალობლიშვილმა საპატიმრო 9 თვეში დატოვა. თუმცა, 2009 წელს ისევ ნარკოტიკის მოხმარებისთვის დააკავეს.

მგალობლიშვილი ბოლოს გასული წლის იანვარში დააკავეს. მას ბრალად ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა-შენახვა-ტარება ედებოდა ბრალად. მას სასამართლომ 24 აპრილს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

პრეზიდენტის მიერ პატიმრების შეწყალების საკითხი ბარნოვის ქუჩაზე ქალის მკვლელობის შემდეგ მორიგი განხილვის საგანი გახდა.

გაირკვა, რომ მკვლელობაში ბრალდებული ვეფხია ბაქრაძე წარსულში ნასამართლევი და პრეზიდენტის მიერ შეწყალებული პატიმარია. მისი შეწყალების მიზეზები გიორგი მარგველაშვილმა 16 აპრილს ბრიფინგზე განმარტა და ძალადობაში ბრალდებულთა შეწყალების პროცესი დროებით შეწყვიტა, თუმცა ოპოზიცია და უმრავლესობა პრეზიდენტს მომხდარზე პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებაში ადანაშაულებს.

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, 2013 წლის დეკემბრიდან დღემდე, 3.655 მსჯავრდებული შეიწყალა.

# კიბერთავდასხმა სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სერვერზე

## წაშლილია მონაცემთა მთელი ბაზა



კიბერთავდასხმა მოხდა სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სერვერზე.

კურიერის ინფორმაციით, წაშლილია მონაცემთა მთელი ბაზა.

კითხვაზე, შეექმნება თუ არა ფრენებს პრობლემები მონაცემთა ბაზების წაშლის გამო, სააგენტოში უპასუხეს, რომ ყველაფერი გააკეთეს, რომ ავიარეისები შეუფერხებლად შესრულებულიყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მოკვლევა კიბერთავდასხმასთან დაკავშირებით უკვე დაიწყო.

# გენერალ სამსონ ქუთათელაძის ძმისშვილი, თენგიზ ქუთათელაძე, ფონიჭალაში გარდაცვლილი იპოვეს




ფონიჭალის დასახლებაში გენერალ სამსონ ქუთათელაძის ძმისშვილი, თენგიზ ქუთათელაძე, გარდაცვლილი იპოვეს.

ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა ქუთათელაძის გარდაცვალების მიზეზი.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ცხედარს ძალადობის კვალი არ აღენიშნება. გამოძიება სისხლის სამართლის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

შეგახსენებთ, რომ გენერალი სამსონ ქუთათელაძე რუსთავის ბაზრობის მეწილე გახლდათ, რომელიც საკუთარ კაბინეტში 15 იანვარს მოკლეს. უკავშირდება თუ არა გენერლის მკვლელობის საქმეს თენგიზ ქუთათელაძის გარდაცვალება, ჯერჯერობით უცნობია.

# „კახა ძნელაძე ლუდს სვამდა, როდესაც მიხეილ იაშვილმა ზურგიდან ესროლა“

## სასამართლომ იაშვილს 15 წელი მიუსაჯა



თბილისის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობაში და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა და ტარებაში მიხეილ იაშვილი დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით.

ბრალდების მხარემ სასამართლო სხდომებზე ბრალდებულ მიხეილ იაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის დამადასტურებელი არაერთი მტკიცებულება გამოიკვლია: დაიკითხა ათობით მოწმე, მათ შორის დანაშაულის თვითმხილველი, რომელმაც უშუალოდ ამოიცნო ბრალდებული. გამოკვლეული იქნა დოკუმენტალური და ნივთიერი მტკიცებულებები, ასევე მკვლელობის იარაღი, რომელიც ბრალდებულმა შემთხვევის ადგილთან ახლოს გადამალა და რომელზეც მისი დნმ აღმოჩნდა, ბრალდებულის ტანსაცმელსა და ხელზე კი აღმოჩნდა სროლის შედეგად წარმოქმნილი ქიმიური ნივთიერებების კვალი.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 16 აგვისტოს, კახა ძნელაძე მთაწმინდის 7ა კორპუსის წინ მეგობართან ერთად იჯდა და ლუდს სვამდა, როდესაც მას განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევი მიხეილ იაშვილი მიუახლოვდა და ცეცხლსასროლი იარაღიდან ზურგის არეში დამიზნებით ესროლა, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მიღებული დაზიანებით კახა ძნელაძე ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა მიხეილ იაშვილი 2017 წლის 17 აგვისტოს თბილისში დააკავეს. სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ნაფიცი მსაჯულების მიერ ერთხმად მიღებული გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე სასამართლომ მიხეილ იაშვილი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის მაქსიმალური ზომა — 15 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# სასამართლომ „აიისას“ დამფუძნებელი ანი გაჩეჩილაძე 500 ლარით დააჯარიმა და არაეთიკური რეკლამების ბაზრიდან ამოღება დაავალა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სამართალდამრღვევად ცნო „აიისა“-ს დამფუძნებელი, ინდმეწარმე ანი გაჩეჩილაძე და იგი 500 ლარით დააჯარიმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, ინდმეწარმემ, „აიისა“-ს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, ასევე წარმოებულ პროდუქციაზე განათავსა არაეთიკური რეკლამა.

„სამართალდარღვევის ოქმის განხილვისას, სასამართლომ, წარმოებულ პროდუქციაზე განთავსებული რეკლამა, რეკლამის წარმოების და მისი გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევად მიიჩნია. ინდმეწარმე სუბიექტი სასამართლომ 500 ლარით დააჯარიმა, ასევე მეწარმეს აეკრძალა პროდუქტზე განთავსებული არაეთიკური რეკლამების — „სამეფო კარი თამარში“ (წარწერა და გამოსახულება), „ძლევაი საკვირველი“ (წარწერა და გამოსახულება), „ჩამოვკრავდი მარა ნათლისღებაა...“ (წარწერა), „მაკურთხებელი ხელი“ (გამოსახულება), გავრცელება/განთავსება (პროდუქტზე, სოციალურ ქსელში და სხვ.) და დაევალა გავრცელებული/განთავსებული არაეთიკური რეკლამების ამოღება საქართველოს სასაქონლო ბაზრიდან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ პროდუქტზე განთავსებული წარწერები და გამოსახულებები არის არაეთიკური, რომელიც რელიგიის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და შედარებების გამოყენებით, არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმებს, ასევე ხელყოფს რელიგიურ სიმბოლოებს“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

# ნუგზარ კახიძის მკვლელობაში ბრალდებულ გ.ჩ.-ს პატიმრობა შეეფარდა და მასზე ძებნა გამოცხადდა



ბიზნესმენ ნუგზარ კახიძის მკვლელობაში ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდა და მის მიმართ ძებნა გამოცხადდა.

ინფორმაციას ამის შესახებ პროკურატურა ავრცელებს.

„2018 წლის 2 მაისს საქართველოს პროკურატურამ განზრახ მკვლელობის, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენის, შენახვისა და ტარების ფაქტზე გ.ჩ. ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 108-ე მუხლითა და 19.109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2018 წლის 21 მარტს დაახლოებით 13:30 საათზე განზრახი დანაშაულისთვის სამჯერ ნასამართლევი, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ.ჩ. მივიდა ქ, თბილისში ჭაბუა ამირეჯიბის ქუჩაზე მცხოვრებ ნ.კ.-სთან და განზრახ მოკვლის მიზნით, მაყუჩიანი „ბერეტას“ და „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტებიდან ესროლა ნ.კ.-ს და ამავე ოჯახის დამხმარე ქალს — თ.ბ.-ს, რომელიც მისთვის ხელის შეშლას ცდილობდა, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული ჭრილობების შედეგად ნ.კ. ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო თ.ბ.-მ ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო.

2018 წლის 3 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ, ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მიმალვაში მყოფ გ.ჩ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება გამოძიება. გ.ჩ.-სთვის წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“ — აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ფხენიანმა 3 ამერიკელი საკონცენტრაციო ბანაკიდან გაათავისუფლა

ტრამპთან შეხვედრის წინ კიმ ჩენ ინმა ამერიკელებისკენ კიდევ ერთი შემხვედრი ნაბიჯი გადადგა. მისი ბრძანებით საკონცენტრაციო ბანაკში მყოფი სამი ამერიკელი გაათავისუფლეს.

## რუსები ამერიკაში გარბიან



რუსეთში ავტორიტარული ტენდენციები ძლიერდება. იზრდება თავისუფალი სიტყვის შეზღუდვა, მკაცრდება ცენზურა.

ეს მოსახლეობის განწყობაზეც აისახა. აშშ-ის შიდა უსაფრთხოების სამინისტროს მონაცემებით, გასულ 2017 წელს რუსეთის 2.664-მა მოქალაქემ აშშ-ში თავშესაფარი მოითხოვა. ეს წინა წლების მონაცემებთან შედარებით 39%-ით მეტია.

იმ პირებს შორის, ვინც ამერიკაში თავშესაფარს ითხოვს, წვრილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები დომინირებენ. ისინი აცხადებენ, რომ რუსეთში ბიზნესის წარმატებით განხორციელება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მმართველ კლანს განეკუთვნები და მისი მფარველობით სარგებლობ.

შემდეგ მოდიან ახალგაზრდები, რომელთაც აშშ-ის საგანმანათლებლო სისტემა ხიბლავთ, მეცნიერები, რომლებიც რუსეთში თვითდამკვიდრება ვერ შეძლეს და ა.შ.

## ფოლკსვაგენის ყოფილ გენდირექტორს აშშ–ში ბრალდება წაუყენეს

მიჩიგანის შტატის აღმოსავლეთი ოლქის პროკურატურამ ავტოკონცერნ ფოლკსვაგენის ყოფილ გენდირექტორ მარტინ ვინდერკორნს მაქინაციები დასდო ბრალად.

თავად ვინდერკორნი ბრალდებას უარყოფს.

## ბრიტანეთი რუსეთის წინააღმდეგ კოალიციას ქმნის



დიდი ბრიტანეთი ანტირუსულ კოალიციას ქმნის. ამის თაობაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ჯონსონმა განაცხადა.

– ჩვენ ვიმუშავებთ როგორც ნატოს, ასევე ევროკავშირის, დიდი შვიდეულისა და დიდი ოცეულის ფარგლებშიც, – ამბობს ჯონსონი.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ პუტინმა დასავლეთის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო ომი გააჩაღა. ამის უპასუხოდ დატოვება შეუძლებელია.

– პუტინი ცდილობს, ჩვენ წინააღმდეგ დასავლური დემოკრატიის უმთავრესი მონაპოვარი, სიტყვის თავისუფლება, გამოიყენოს! ამას ჩვენი სტრატეგია უნდა დავუპირისპიროთ, – თქვა ჯონსონმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კენიაში წყალდიდობის შედეგად 112 ადამიანი დაიღუპა



კენიაში წყალდიდობის შედეგად 112 ადამიანი დაიღუპა.

წითელი ჯვრის ადგილობრივი საზოგადოების გენერალური მდივნის აბას გულეტის ინფორმაციით, წყალდიდობამ 8 ათას ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გაანადგურა.

გულეტის თქმით, სტიქიამ 260 ათასზე მეტი ადამიანი დააზარალა.

### კალეიდოსკოპი

## ბრიტანელმა გზაზე გაჩენილი ორმო თოჯინების თავებით ამოავსო

ბრიტანეთის ქალაქ სუინდონის მცხოვრებმა ნევილ დეიტონმა ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღება გზაზე გაჩენილი ორმოს მიმართ იმით მიაპყრო, რომ ის თოჯინების თავებით ამოავსო.



მან თავისი ქმედება იმით ახსნა, რომ ყელში ამოუვიდა ეს ორმო და სწორედ ამიტომაც გადადგა ასეთი ნაბიჯი. დეიტონის აქცია დაახლოებით სამი კვირაა გრძელდება. პირველი თოჯინა ვიღაცამ ერთი კვირის თავზე მოაშორა ორმოდან. მაშინ ბრიტანელმა ის მეორე თოჯინათი შეცვალა.

დეიტონის თქმით, ის თოჯინებს საქველმოქმედო მაღაზიაში ყიდულობს, სადაც დამტვრეული თოჯინები იყიდება.

– ამიტომ მათთვის თავის მოძრობა თავად არ მიწევს, – განმარტა ბრიტანელმა, რომელსაც სახლში კიდევ რამდენიმე ასეთი თავი აქვს შენახული.

ადგილობრივი საბჭო დეიტონს არწმუნებს, რომ ორმო რამდენჯერმე ამოავსეს, მაგრამ ის ისევ ჩნდება იმავე ადგილზე. მამაკაცი კი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ ორმო უკვე რამდენიმე თვეა, არავის ამოუვსია, ხოლო უხარისხოდ შეკეთების შემდეგ კიდევ უფრო გადიდდა.

## ამერიკელმა ჩხრიალა გველი გადაარჩინა, მაგრამ თავად მის ნაკბენს შეეწირა

ამერიკის ოკლაჰომის შტატის მცხოვრები ბარი ლესტერი შეეცადა, ჩხრიალა გველი დაღუპვისგან გადაერჩინა და მისი ნაკბენისგან თავად დაიღუპა.



ლესტერი პიკაპით ნათესავთან სტუმრობიდან ბრუნდებოდა, სადაც საკუთარი 57-ე დაბადების დღე იზეიმა. მან ამ დროს გზაზე შხამიანი ზოლებიანი ჩხრიალა გველი შენიშნა. მამაკაცმა მკვეთრად დაამუხრუჭა და მანქანიდან გადმოვიდა, რათა მკვდარი რეპტილია გზის სავალი ნაწილიდან მოეშორებინა. ლესტერმა გველს ხელი თავში წაავლო და ამ დროს ქვეწარმავალი მარცხენა ხელზე ჩააფრინდა. მამაკაცმა გველი მეორე ხელში გადაიტანა, მაგრამ მან იქაც უკბინა.

მაშინ ლესტერმა გველი ინსტრუმენტების ცარიელ ყუთში ჩააგდო და სახლში წავიდა, სადაც უკვე ელოდა ოჯახის მიერ გამოძახებული სასწრაფო დახმარების მანქანა. მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ველარ შეძლეს, ვინაიდან გველის ნაკბენმა მისი გულის დაავადების გამწვავება გამოიწვია.



## იტალიელებს მომრავლებული ნუტრიების საკვებად გამოყენებას ურჩევენ

იტალიის ჯერე-დეკაპრიოლის კომუნის მერმა მიკელე მარკიმ თანამოქალაქეებს ნუტრიების შემოსევასთან ბრძოლისა და მათი საკვებად გამოყენებისკენ მოუწოდა.

პოლიტიკოსმა ამ ცხოველის ხორცი თავად დააგემოვნა და აღნიშნა, რომ ის გემოთი კურდღლის ხორცს სჯობია. მისი თქმით, ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში ნუტრიების გრილზე მომზადება უკვე დაიწყეს.

– სრულიად სერიოზულად ვამბობ, კოიპუმ შეიძლება ზიზღი გამოიწვიოს, მაგრამ, თუ ასეა, მაშინ ღორების ფერმა მოინახულეთ და, დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ ღორის ხორცის ჭამაზე უარს მაინც არ იტყვით. ჩვენ ამ ეტაპზე ამ იდეაზე მსჯელობა მაინც უნდა დავიწყოთ, – განაცხადა მარკიმ.

ცხოველთა დამცველები პოლიტიკოსის ამ ინიციატივას არაერთმნიშვნელოვნად შეხვდნენ.

– კიდევ ერთი გენიოსი გამოჩნდა, რომელიც მიიჩნევს, რომ პრობლემის მოგვარებას უდანაშაულო ცხოველების დახოცვით შეძლებს და ის ხალხმა მერად აირჩია, – განაცხადა ერთ-ერთმა ცხოველთა დამცველმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება, “პახმელიის“,ზაპოის“, აგრესიის და ყველანაირი გართულების მოხსნა. (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში პაციენტისგან ფარულად) კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მკურნალობაა, მცენარეული, მაღალეფექტური, გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

# ელ კლასიკოს მოლოდინში

## სტატისტიკა, ფსონები

ევროპაში ელ კლასიკოა. ერთია, ბარსელონა-რეალის მატჩს სატურნირო ინტერესი დაკარგული აქვს, თუმცა, ამ მატჩის დატვირთვა ვინც იცის, არანაირი ხელისშემშლელი ფაქტორი არ არსებობს.




### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.05 სტოკი-კრ.პალასი | 2.62 | 3.3 | 2.62 |
| 05.05 ლესტერი-ვესტ ჰემი | 2.2 | 3.4 | 3.2 |
| 05.05 ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი | 7.5 | 4.5 | 1.4 |
| 05.05 ბორნმუთი-სუონსი | 2.1 | 3.3 | 3.5 |
| 05.05 უოტფორდი-ნიუკასლი | 2.4 | 3.25 | 3.0 |
| 05.05 ევერტონი-საუთჰემპტონი | 2.87 | 3.2 | 2.6 |
| 06.05 სიტი-ჰადერსფილდი | 1.08 | 10.0 | 26.0 |
| 06.05 არსენალი-ბარნლი | 1.53 | 4.2 | 6.0 |
| 06.05 ჩელსი-ლივერპული | 2.15 | 3.5 | 3.25 |

**სტოკი-კრ.პალასი**

სტოკი: ***ტრავმ***-კონსტანტინოს სტაფილიდისი, მაქსიმ ჩუპო-მოტინგი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ბაკარი საკო, სკოტ დანი, ჯეისონ პუნჩეონი

**ლესტერი-ვესტ ჰემი**

ლესტერი: ***ტრავმ***-შინჯი ოკაზაკი, კასპერ შმეიხელი, ვინსენტ ივბორა, მეტ ჯეიმსი, დანიელ ამარტეი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-მაიკლ ანტონიო, ჯეიმს კოლინზი, სემ ბირამი, უინსტონ რიდი, პედრო ობიანგი

**ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-გარეთ ბერი, ჯეიმს მორისონი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ჰარი ვინკსი

**ბორნმუთი-სუონსი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ჰარი არტერი, ჯუნიორ სტანისლასი, ადამ სმიტი, ტაირონ მინგსი

სუონსი: ***ტრავმ***-ლეროი ფერი, ვილფრედ ბონი

**უოტფორდი-ნიუკასლი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-სტეფანო ოკაკა, რობერტო პერეირა, ჟერარდ ეულოფე, ტომ კლევერლი, იუნის კაბული, ნათან ჩალობა

ნიუკასლი: ***ტრავმ***-კრისტიან ატსუ

**ევერტონი-საუთჰემპტონი**

ევერტონი: ***ტრავმ***-დომენიკ ლევინი, მეისონ ჰოლგეიტი, გილფი სიგურდსონი, ელიაქუმ მანგალა, ჯეიმსს მაკკარტნი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-სტივ დევისი

**სიტი-ჰადერსფილდი**

სიტი: ***ტრავმ***-სერხიო აგუერო, ჯონ სტოუნზი

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-ტომ ინსე, ელიას კაჩუნგა, მაიკლ ჰეფელე

**არსენალი-ბარნლი**

არსენალი: ***ტრავმ***-მოჰამედ ელნენი, ჰენრიკ მხითარიანი, სანტი კაზორლა

ბარნლი: ***ტრავმ***-ბენ მიი, სკოტ არფილდი, სტივ დეფო, რობი ბრეიდი

**ჩელსი-ლივერპული**

ჩელსი: ***ტრავმ***-დანი დრინკვოთერი, დავიდ ლუიზი

ლივერპული: ***ტრავმ***-ალექს ოხსლეიდ-ჩემბერლენი, ჯოელ მატიპი, ადამ ლალანა, ემრე ჯანი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 35 | 30 | 3 | 2 | 102-26 | 93 |
| 2.მანჩესტერი | 35 | 24 | 5 | 6 | 67-27 | 77 |
| 3.ლივერპული | 36 | 20 | 12 | 4 | 80-37 | 72 |
| 4.ტოტენჰემი | 35 | 21 | 8 | 6 | 68-31 | 71 |
| 5.ჩელსი | 35 | 20 | 6 | 9 | 60-34 | 66 |
| 6.არსენალი | 35 | 17 | 6 | 12 | 67-48 | 57 |
| 7.ბარნლი | 36 | 14 | 12 | 10 | 35-32 | 54 |
| 8.ევერტონი | 36 | 13 | 9 | 14 | 42-54 | 48 |
| 9.ლესტერი | 35 | 11 | 11 | 13 | 49-52 | 44 |
| 10.ნიუკასლი | 35 | 11 | 8 | 16 | 35-44 | 41 |
| 11.კრ.პალასი | 36 | 9 | 11 | 16 | 41-54 | 38 |
| 12.ბორნმუთი | 36 | 9 | 11 | 16 | 42-60 | 38 |
| 13.უოტფორდი | 36 | 10 | 8 | 18 | 42-62 | 38 |
| 14.ბრაიტონი | 35 | 8 | 13 | 14 | 32-47 | 37 |
| 15.ვესტ ჰემი | 35 | 8 | 11 | 16 | 43-67 | 35 |
| 16.ჰადერსფილდი | 35 | 9 | 8 | 18 | 27-56 | 35 |
| 17.სუონსი | 35 | 8 | 9 | 18 | 27-52 | 33 |
| 18.საუთჰემპტონი | 35 | 6 | 14 | 15 | 35-54 | 32 |
| 19.სტოკი | 36 | 6 | 12 | 18 | 32-65 | 30 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 36 | 5 | 13 | 18 | 30-54 | 28 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.05 ხირონა-ეიბარი | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 05.05 ბილბაო-ბეტისი | 2.25 | 3.4 | 3.1 |
| 05.05 სელტა-დეპორტივო | 1.61 | 4.2 | 5.0 |
| 05.05 ვილიარეალი-ვალენსია | 2.2 | 3.5 | 3.1 |
| 06.05 მალაგა-ალავესი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 06.05 ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.44 | 4.0 | 8.5 |
| 06.05 ლას პალმასი-ხეტაფე | 3.8 | 3.4 | 2.0 |
| 06.05 ბარსელონა-რეალი | 1.7 | 4.33 | 4.0 |
| 07.05 ლეგანესი-ლევანტე | 2.1 | 3.1 | 3.75 |

**ხირონა-ეიბარი**

ხირონა: ***ტრავმ***-არავინ

ეიბარი: ***ტრავმ***-ივან რამისი, ანაიც არბილია, სერჟი ენრიჩი

**ბილბაო-ბეტისი**

ბილბაო: ***ტრავმ***-ანაიც ადურიზი

ბეტისი: ***ტრავმ***-ანტონიო ადანი, ზუჰარ ფედალი

**სელტა-დეპორტივო**

სელტა: ***ტრავმ***-ფაკუნდო რონგალია, ნემანია რადიოა, იაგო ასპასი

დეპორტივო: ***ტრავმ***-სიდნეი, ენეკო ბოვედა

**ვილიარეალი-ვალენსია**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ხავი ფუეგო, რამირო გუერა

ვალენსია: ***ტრავმ***-არავინ

**მალაგა-ალავესი**

მალაგა: ***ტრავმ***-ჩორი კასტრო, ფედერიკო რიკა, რეკიო, ადალბერტო პენარანდა, ხუანკარი

ალავესი: ***ტრავმ***-ალვარო მედრანი, რუბენ დუარტე, ერნან პერესი, კარლოს ვიგარაი

**ატლეტიკო-ესპანიოლი**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-იან ობლაკი, ხუანფრანი, ფელიპე ლუისი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-პაბლო პიატი, დიეგო ლოპესი

**ლას პალმასი-ხეტაფე**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-მომო ფიგუერა, გაბრიელ პენალბა

ხეტაფე: ***ტრავმ***-მარკელ ბერგარა, მაურო არამბარი

**ბარსელონა-რეალი**

ბარსელონა: ***ტრავმ***-არავინ

რეალი: ***ტრავმ***-ნაჩო, დანი კარვახალი, ისკო

**ლეგანესი-ლევანტე**

ლეგანესი: ***ტრავმ***-ომარ რამოსი, ეზეკიელ მუნიოსი, ალექსანდერ შიმანოვსკი

ლევანტე: ***ტრავმ***-ჩეიკ დაკური, ტონო, რაული, ივან ლოპესი, ერიკ კაბაკო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 34 | 26 | 8 | 0 | 87-21 | 86 |
| 2.ატლეტიკო | 35 | 22 | 9 | 4 | 55-18 | 75 |
| 3.რეალი | 34 | 21 | 8 | 5 | 82-37 | 71 |
| 4.ვალენსია | 35 | 20 | 7 | 8 | 62-36 | 67 |
| 5.ბეტისი | 35 | 18 | 5 | 12 | 56-54 | 59 |
| 6.ვილიარეალი | 34 | 16 | 6 | 12 | 49-41 | 54 |
| 7.ხეტაფე | 35 | 13 | 10 | 12 | 40-32 | 49 |
| 8.სევილია | 34 | 14 | 6 | 14 | 42-54 | 48 |
| 9.ხირონა | 35 | 13 | 9 | 13 | 47-53 | 48 |
| 10.სოსიედადი | 35 | 13 | 7 | 15 | 63-55 | 46 |
| 11.სელტა | 35 | 12 | 9 | 14 | 54-51 | 45 |
| 12.ეიბარი | 35 | 12 | 8 | 15 | 37-47 | 44 |
| 13.ალავესი | 35 | 13 | 2 | 20 | 34-48 | 41 |
| 14.ბილბაო | 35 | 9 | 13 | 13 | 38-45 | 40 |
| 15.ესპანიოლი | 35 | 9 | 13 | 13 | 29-41 | 40 |
| 16.ლეგანესი | 35 | 11 | 7 | 17 | 29-43 | 40 |
| 17.ლევანტე | 35 | 9 | 13 | 13 | 34-50 | 40 |
| 18.დეპორტივო | 35 | 6 | 10 | 19 | 34-69 | 28 |
| 19.ლას პალმასი | 35 | 5 | 7 | 23 | 23-70 | 22 |
| 20.მალაგა | 35 | 5 | 5 | 25 | 23-53 | 20 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.05 კიოლნი-ბაიერნი | 11.0 | 6.5 | 1.22 |
| 05.05 ჰანოვერი-ჰერტა | 2.62 | 3.4 | 2.6 |
| 05.05 ლაიპციგი-ვოლფსბურგი | 1.6 | 4.2 | 5.0 |
| 05.05 ვერდერი-ლევერკუზენი | 3.75 | 4.0 | 1.85 |
| 05.05 აინტრახტი-ჰამბურგი | 1.95 | 3.6 | 3.75 |
| 05.05 შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი | 3.0 | 3.75 | 2.15 |
| 05.05 დორტმუნდი-მაინცი | 1.35 | 5.0 | 8.5 |
| 05.05 აუგსბურგი-შალკე | 3.5 | 3.3 | 2.1 |
| 05.05 გლადბახი-ფრაიბურგი | 1.75 | 3.8 | 4.4 |

**კიოლნი-ბაიერნი**

კიოლნი: ***ტრავმ***-სიმონ ზოლერი, კრისტიან კლემენსი, ტიმო ჰორნი, ლუკას კლუნტერი, მატიას ლემანი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ჟერომ ბოატენგი, არტურო ვიდალი, კინგსლი კომანი, მანუელ ნოიერი

**ჰანოვერი-ჰერტა**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ფელიქს კლაუსი, მანუელ შმიდებახი, ვალდემარ ანტონი, ფლორიან ჰუბნერი, ჯონატასი, ფელიპე, ჩარლისონ ბენშოპი

ჰერტა: ***ტრავმ***-ტომას კრაფტი, მიჩელ ვეიზერი, არნე მაიერი, მაქს მიტელშტადი

**ლაიპციგი-ვოლფსბურგი**

ლაიპციგი: ***ტრავმ***-მარსელ საბიტერი, კონდრად ლაიმერი, მარსელ ჰალშტენბერგი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-სებასტიან იუნგი, იგნასიო კამაჩო, ადმირ მეჰმედი

**ვერდერი-ლევერკუზენი**

ვერდერი: ***ტრავმ***-ფინ ბარტელსი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ჯონათან ტა, ჯო პოჯანპალო, ვენდელი

**აინტრახტი-ჰამბურგი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-კევინ-პრინს ბოატენგი, ჯონათან დე გუზმანი, ანტე რებიჩი, კარლოს სალსედო

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ჟან არპი, ანდრე ჰანი, ვასილი იანიჩიჩი, სვენ შიპლოკი, მერჯიმ მავრაი

**შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-მატიას ციმერმანი, ანდრეას ბეკი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-შტეფან პოში, ბენჯამინ ჰუბნერი, დენის გაიგერი

**დორტმუნდი-მაინცი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მიშუ ბაშუაია, რაფაელ გერერო, დან-აქსელ ზაგადუ

მაინცი: ***ტრავმ***-არავინ

**აუგსბურგი-შალკე**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ჯა-კოელ ჩო, რაფაელ ფრამბერგერი, დანიელ ოპარე

შალკე: ***ტრავმ***-ბრეელ ემბოლო, მატია ნასტასიჩი

**გლადბახი-ფრაიბურგი**

გლადბახი: ***ტრავმ***-ფაბიან ჯონსონი, პატრიკ ჰერმანი, რაულ ბობადილა

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-კალებ სტანკო, იორიკ რავე, ფლორიან ნიდელლეჰტერი, ამირ აბრაში

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 32 | 26 | 3 | 3 | 88-23 | 81 |
| 2.შალკე | 32 | 16 | 9 | 7 | 50-36 | 57 |
| 3.დორტმუნდი | 32 | 15 | 10 | 7 | 62-42 | 55 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 32 | 14 | 10 | 8 | 63-45 | 52 |
| 5.ლევერკუზენი | 32 | 14 | 9 | 9 | 55-42 | 51 |
| 6.ლაიპციგი | 32 | 13 | 8 | 11 | 47-50 | 47 |
| 7.აინტრახტი | 32 | 13 | 7 | 12 | 42-44 | 46 |
| 8.შტუტგარტი | 32 | 13 | 6 | 13 | 30-35 | 45 |
| 9.გლადბახი | 32 | 12 | 8 | 12 | 43-49 | 44 |
| 10.ჰერტა | 32 | 10 | 13 | 9 | 40-37 | 43 |
| 11.აუგსბურგი | 32 | 10 | 11 | 11 | 42-42 | 41 |
| 12.ვერდერი | 32 | 9 | 11 | 12 | 35-39 | 38 |
| 13.ჰანოვერი | 32 | 9 | 9 | 14 | 39-50 | 36 |
| 14.მაინცი | 32 | 8 | 9 | 15 | 35-49 | 33 |
| 15.ფრაიბურგი | 32 | 7 | 12 | 13 | 29-53 | 33 |
| 16.ვოლფსბურგი | 32 | 5 | 15 | 12 | 31-43 | 30 |
| 17.ჰამბურგი | 32 | 7 | 7 | 18 | 27-49 | 28 |
| 18.კიოლნი | 32 | 5 | 7 | 20 | 33-63 | 22 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.05 მილანი-ვერონა | 1.14 | 7.5 | 19.0 |
| 05.05 იუვენტუსი-ბოლონია | 1.15 | 7.0 | 21.0 |
| 06.05 უდინეზე-ინტერი | 5.5 | 4.0 | 1.57 |
| 06.05 ჯენოა-ფიორენტინა | 3.8 | 3.4 | 2.0 |
| 06.05 კიევო-კროტონე | 2.37 | 3.0 | 3.25 |
| 06.05 სპალი-ბენევენტო | 1.53 | 4.33 | 5.5 |
| 06.05 ლაციო-ატალანტა | 1.95 | 3.6 | 3.75 |
| 06.05 ნაპოლი-ტორინო | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 06.05 სასუოლო-სამპდორია | 2.37 | 3.4 | 2.9 |
| 06.05 კალიარი-რომა | 7.5 | 4.8 | 1.4 |

**მილანი-ვერონა**

მილანი: ***ტრავმ***-ლუკას ბილია, ალესანდრო რომანიოლი, ანდრეა კონტი

ვერონა: ***ტრავმ***-როლანდო აარონსი, მოის კინი

**იუვენტუსი-ბოლონია**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ჯორჯო კიელინი, მატია დი შილიო, სტეფანო სტურარო

ბოლონია: ***ტრავმ***-ფილიპ ჰელანდედრი, გოდფრიდ დონსა

**უდინეზე-ინტერი**

უდინეზე: ***ტრავმ***-გაბრიელ ანგელა

ინტერი: ***ტრავმ***-რობერტო გალიარდინი

**ჯენოა-ფიორენტინა**

ჯენოა: ***ტრავმ***-შტეფან ომეონგა, პედრო პერეირა, ნიკოლას სპოლი, სანტიაგო ჯენტილეტი, არმანდო იზზო

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ვიქტორ უგო

**კიევო-კროტონე**

კიევო: ***ტრავმ***-მასიმო გობი, ჯანლუკა გაუდიო, მეჰდი ლერისი

კროტონე: ***ტრავმ***-აჰმად ბენალი, ანტე ბუდიმირი

**სპალი-ბენევენტო**

სპალი: ***ტრავმ***-ბაკარი დრამე, ალექს მერეტი, მარკო ბორიელო

ბენევენტო: ***ტრავმ***-ანდრეა კოსტა, მარკო დალესანდრო, გილერმე, ლუკა ანტეი

**ლაციო-ატალანტა**

ლაციო: ***ტრავმ***-მარკო პაროლო, პარტიჩი

ატალანტა: ***ტრავმ***-ლეონარდო სპინალოზა, ლუკა რიცო

**ნაპოლი-ტორინო**

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

ტორინო: ***ტრავმ***-ჯოელ ობი, ანტონიო ბარეკა, ლიანჩო

**სასუოლო-სამპდორია**

სასუოლო: ***ტრავმ***-სტეფანო სენსი, პოლ ლიროლა, ედუარდო კოლდანიგა

სამპდორია: ***ტრავმ***-რიკარდო ალვარესი, ჯანლუკა კაპრარი, დუვან ზაპატა, ნიკოლა მურუ

**კალიარი-რომა**

კალიარი: ***ტრავმ***-დანიელ დესენა, დიეგო ფარიასი

რომა: ***ტრავმ***-კევინ სტროოტმანი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 35 | 28 | 4 | 3 | 81-22 | 88 |
| 2.ნაპოლი | 35 | 26 | 6 | 3 | 71-26 | 84 |
| 3.რომა | 35 | 21 | 7 | 7 | 59-28 | 70 |
| 4.ლაციო | 35 | 21 | 7 | 7 | 84-43 | 70 |
| 5.ინტერი | 35 | 18 | 12 | 5 | 58-26 | 66 |
| 6.ატალანტა | 35 | 16 | 10 | 9 | 55-36 | 58 |
| 7.მილანი | 35 | 16 | 9 | 10 | 46-39 | 57 |
| 8.სამპდორია | 35 | 16 | 6 | 13 | 55-54 | 54 |
| 9.ფიორენტინა | 35 | 15 | 9 | 11 | 50-38 | 54 |
| 10.ტორინო | 35 | 11 | 14 | 10 | 48-42 | 47 |
| 11.ჯენოა | 35 | 11 | 8 | 16 | 30-37 | 41 |
| 12.ბოლონია | 35 | 11 | 6 | 18 | 38-46 | 39 |
| 13.სასუოლო | 35 | 9 | 10 | 16 | 26-57 | 37 |
| 14.უდინეზე | 35 | 10 | 4 | 21 | 46-59 | 34 |
| 15.კროტონე | 35 | 9 | 7 | 19 | 36-60 | 34 |
| 16.კალიარი | 35 | 9 | 6 | 20 | 31-60 | 33 |
| 17.სპალი | 35 | 6 | 14 | 15 | 33-56 | 32 |
| 18.კიევო | 35 | 7 | 10 | 18 | 31-57 | 31 |
| 19.ვერონა | 35 | 7 | 4 | 24 | 28-71 | 25 |
| 20.ბენევენტო | 35 | 5 | 3 | 27 | 32-81 | 18 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.05 სტ.ეტიენი-ბორდო | 2.0 | 3.25 | 4.0 |
| 06.05 ლიონი-ტრუა | 1.12 | 8.5 | 19.0 |
| 06.05 მეცი-ანჟე | 2.6 | 3.2 | 2.75 |
| 06.05 ტულუზა-ლილი | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 06.05 რენი-სტრასბური | 1.75 | 3.75 | 4.5 |
| 06.05 ნანტი-მონპელიე | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 06.05 კაენი-მონაკო | 4.5 | 3.75 | 1.75 |
| 06.05 დიჟონი-გენგამი | 2.6 | 3.4 | 2.63 |
| 06.05 მარსელი-ნიცა | 1.61 | 4.0 | 5.0 |

**სტ.ეტიენი-ბორდო**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ლოიკ პერინი, ვინსენ პაიო

ბორდო: ***ტრავმ***-ალექსანდერ მენდი, ჟერომ პრიო

**ლიონი-ტრუა**

ლიონი: ***ტრავმ***-მარიანო

ტრუა: ***ტრავმ***-ტრისტან დინომე

**მეცი-ანჟე**

მეცი: ***ტრავმ***-ჟან ჟოფრე, ბენუა ასოუ-ეკოტო, ტომას დიდილონი, მეტიუ უდოლი, აბლი იალოუ

ანჟე: ***ტრავმ***-ანჯელო ფულინი, ლოიკ პუიო, ჯეფ ადელაიდე, ბილი კეტკეოპომპონე, პიერიკ კაპელე

**ტულუზა-ლილი**

ტულუზა: ***ტრავმ***-

ლილი: ***ტრავმ***-იბრაჰიმ ამადუ

**რენი-სტრასბური**

რენი: ***ტრავმ***-ჰამარი ტრაორე

სტრასბური: ***ტრავმ***-კენი ლალა, მარტინ ტინერი, ნუნო და კოსტა

**ნანტი-მონპელიე**

ნანტი: ***ტრავმ***-დიეგო კარლოსი, რენე კრინი

მონპელიე: ***ტრავმ***-რუბენ აგილარი, ჟერომ რუსილონი

**კაენი-მონაკო**

კაენი: ***ტრავმ***-ივან სანტინი, კრისტიან კოუაკოუ, იუსუფ აიტ ბენასერი, ადამა მბენგუე

მონაკო: ***ტრავმ***-დანიელ შუბაშიჩი, ჯიბრილ სიბიდე, დიეგო ბენალიო, სტეფან იოვეტიჩი, კეიტა ბალდე, ადამა ტრაორე

**დიჟონი-გენგამი**

დიჟონი: ***ტრავმ***-სედრიკ ვერო, ბენჯამინ ჟანო, ჯულიო ტავარეში, ხეკა, ვესლი ლაოტოა, მეჰდი აბეიდი

გენგამი: ***ტრავმ***-ლუკას დო, ფრანკ ტაბანო, აბდულ კამარა

**მარსელი-ნიცა**

მარსელი: ***ტრავმ***-სტივ მანდადა

ნიცა: ***ტრავმ***-კრისტოფ ჟალე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 35 | 29 | 4 | 2 | 106-25 | 91 |
| 2.ლიონი | 35 | 21 | 9 | 5 | 79-38 | 72 |
| 3.მონაკო | 35 | 21 | 8 | 6 | 79-44 | 71 |
| 4.მარსელი | 35 | 20 | 10 | 5 | 73-42 | 70 |
| 5.სტ.ეტიენი | 35 | 14 | 10 | 11 | 41-46 | 52 |
| 6.რენი | 35 | 14 | 9 | 12 | 45-42 | 51 |
| 7.ნიცა | 35 | 14 | 9 | 12 | 46-46 | 51 |
| 8.მონპელიე | 35 | 10 | 16 | 9 | 32-31 | 46 |
| 9.ბორდო | 35 | 13 | 7 | 15 | 42-45 | 46 |
| 10.ნანტი | 35 | 12 | 10 | 13 | 33-39 | 46 |
| 11.გენგამი | 35 | 12 | 10 | 13 | 43-51 | 46 |
| 12.დიჟონი | 35 | 11 | 9 | 15 | 49-69 | 42 |
| 13.ამიენი | 35 | 11 | 8 | 16 | 32-38 | 41 |
| 14.ანჟე | 35 | 8 | 14 | 13 | 39-47 | 38 |
| 15.კაენი | 35 | 10 | 7 | 18 | 25-46 | 37 |
| 16.სტრასბური | 35 | 8 | 11 | 16 | 40-62 | 35 |
| 17.ტულუზა | 35 | 8 | 10 | 17 | 32-46 | 34 |
| 18.ტრუა | 35 | 9 | 5 | 21 | 31-52 | 32 |
| 19.ლილი | 35 | 8 | 8 | 19 | 36-59 | 32 |
| 20.მეცი | 35 | 6 | 8 | 21 | 33-68 | 26 |

# საქართველოს თასი ქუთაისმა მოიგო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ხარჯზე მოახერხა 2-ჯერ ჩაჭრის განხორციელება, რასაც მოყოლილი საპასუხო შეტევა ორჯერვე ქუთაისელთა ჯარიმით დასრულდა. თბილისელები, რომლებიც საჯარიმოებს 50-ზე დაბალი პროცენტით ესროდნენ, ამჯერად ზუსტნი იყვნენ: კრისტიან ჯონსონმა პირველ ჯერზე ორივე საჯარიმო ჩააგდო, ხოლო შემდეგ 2-დან 1 და ანგარიში გაათანაბრა – 65:65.

მატჩის დასრულებამდე ნახევარი წუთით ადრე თანაბარ ანგარიშზე ქუთაისელებმა შეტევა წამოიწყეს, რომელიც ჯონათან ლის არაზუსტი ორქულიანით სრულდებოდა, მაგრამ შეტევაში მოპოვებული მოხსნით აკაკი დვალიშვილმა იმერულ კლუბს განმეორებითი შანსი უბოძა. კაკტუსელი გიორგი ტურძილაძე დაჯარიმდა და დვალიშვილმა 1 ზუსტი საჯარიმოთი ქუთაისი 66:65 დააწინაურა. კაკტუსს თამაშის გადასარჩენად 20 წამი ჰქონდა, თუმცა შეტევა შედეგიანად ვერ დააგვირგვინეს. ლომიძის გარღვევა არაზუსტად დასრულდა, თუმცა დამატებაზე მის თანაგუნდელებს შეეძლოთ ხეირი, მაგრამ ფარზე ამხტარ ანატოლი ბოისას და გიორგი ტურძილაძეს ეს არ გამოუვიდათ, ბურთი ქუთაისელთა ლიდერ ლის მიუვიდა და მატჩის ბედიც გაირკვა: ლიმ საბოლოო ანგარიში პირველი საჯარიმო სროლით დააფიქსირა, მეორე ააცილა და დროც დასრულდა.

თასის მფლობელებს 19 ქულით ჯონათან ლიმ ულიდერა. 15 ქულა მოიპოვა დეჟუან რაიტმა, ხოლო აკაკი დვალიშვილმა ორმაგი დუბლი გაიფორმა – 13 ქულა, 10 მოხსნა. კაკტუსში 18 ქულით კრისტიან ჯონსონი გამოირჩა. 14 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა გიორგი ტურძილაძემ, ხოლო დეანდრე პარკსის ანგარიშზე 11 ქულა დაგროვდა.

მატჩის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. ქუთაისელები მედლები და სიგელი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა გადასცეს, თასის გათამაშების საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა ქუთაისელთა ამერიკელი ლეგიონერი ჯონათან ლი, რომელსაც სპეციალური პრიზი ვლადიმერ ბოისგან მიიღო, ხოლო მთავარი პრიზი – საქართველოს თასი, ქუთაისელთა კაპიტანმა გიორგი ბარბაქაძემ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ პაატა გურასპაულისგან ჩაიბარა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## გველისგან დაკბენილი ქალი გადასარჩენად მიწაში ცოცხლად დამარხეს

ინდოელი ქალი, რომელსაც გველმა უკბინა, მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც მისი გადარჩენა მიწაში ცოცხლად დამარხვით ცადეს.

ინდოეთის უტარ-პრადეშის პროვინციის ქალაქ ბულანდშახრის მცხოვრები დევენდრი ბალახებს აგროვებდა, როდესაც მას ხელზე გველმა უკბინა. მან წამალი დალია და ხელზე თოკი გადაიჭირა, მაგრამ ამის შემდეგ თავი უფრო ცუდად იგრძნო. მან თავის მეუღლე მუკეშთან ერთად დახმარებისთვის გველების ადგილობრივ შემლოცველს მიმართა. მან აუხსნა, რომ მისი გადარჩენა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდებოდა, თუ ძროხის ნაკელში ჩაფლავდნენ. მისი თქმით, ნაკელი გველის შხამს გამოსწოვდა. სასოწარკვეთილი ცოლ-ქმარი რიტუალის შესრულებას დათანხმდა.

75 წუთის ნაკელში გატარების შემდეგ დევენდრი გაიგუდა და დაიღუპა. მისი მეუღლის თქმით, რომელსაც ხუთი შვილი დარჩა, საქმის ასეთ დასასრულს არ მოელოდა.



— გველების შემლოცველი დარწმუნებული იყო, რომ ეს მას უშველიდა. არც კი მიფიქრია, რომ ის შესაძლოა დაღუპულიყო, მჯეროდა, რომ ყველაფერი კარგად დასრულდებოდა, — განაცხადა დაღუპული ქალის ქმარმა.

თავის მხრივ, გველების შემლოცველმა დაადასტურა, რომ ქალი სწორედ უჰაერობის გამო დაიღუპა. ადგილობრივმა პოლიციელებმა აღნიშნეს, რომ მათთვის მომხდარის შესახებ არაფერი იყო ცნობილი, ვინაიდან მათთვის არავის მიუმართავს.

## ასტროპროგნოზი

### 5 მაისისათვის



**ვერძი** — კრიტიკული დღეა. თქვენს საქმეებში ჩარევის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. **კურო** — ფინანსური კრიზისი უკან დარჩა. მშვიდად იყავით და თქვენი საქმე ბეჯითად აკეთეთ. **ტყუპები** — შანსი გეძლევათ, ადრე დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ. ბოდიშის მოხდის ნუ შეგრცხვებათ. **კირჩხიბი** — წინააღმდეგობრივი დღეა. მიზნის მისაღწევად ბრძოლა მოგიწევთ. პოზიციებს ნუ დათმობთ. **ლომი** — თუ ახალი საქმის დაწყებას აპირებთ, გაითვალისწინეთ, რომ დღეს საამისოდ შეუფერებელი პერიოდია. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. **ქალწული** — სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. ნიჭს გასაქანი მიეცით. ახალი პარტნიორები პრობლემების მოგვარებაში გეხმარებიან. **სასწორი** — ცდუნებას არ აჰყვეთ. ნებისმიერ სიტუაციაში ნებისყოფა და თავშეკავება გმართებთ. **ღრიანკალი** — მიენდეთ ახლობლებს. ეცადეთ, მოსალოდნელი კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. **მშვილდოსანი** — მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ფხიზლად იყავით, საღად იაზროვნეთ. **თხის რქა** — იყავით სამართლიანი, დაიცავით დაჩაგრული. თუ საჭიროა, კომპრომისზეც უნდა წახვიდეთ. **მერწყული** — ახალი ნაცნობობა საკმაოდ იღბლიანია. შესაძლოა, ჭკვიანური და სასარგებლო რჩევა მიიღოთ. **თევზები** — იმისათვის, რომ ჩანაფიქრი წარმატებით განახორციელოთ, დრო სწორად უნდა გაანაწილოთ. თამამად გარისკეთ.

### 6 მაისისათვის

**ვერძი** — აფორიაქებული ხართ. პესიმიზმი გიტევთ. სასარგებლოა ფიზიკური შრომა. **კურო** — ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. კეთილისმყოფელი დღეა, შესაფერისი კომერციული საქმიანობისათვის. **ტყუპები** — პასიური დღეა. ამბიციურობა და სიჯიუტე ხეირს არ დაგაყრით. **კირჩხიბი** — ნებისმიერი ინიციატივა წარმატებით დაგვირგვინდება. დიდი ხნის ოცნება გისრულდებათ. **ლომი** — ახლობლებთან ურთიერთობა სავსებით ჰარმონიულია. კოლექტიური მუშაობისათვის კარგი დღეა. **ქალწული** — დაკავდით სპორტით. შემოსავალი გეზრდებათ. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა იდეალურია. **სასწორი** — თქვენი აქტიურობა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. შრომა დაგიფასდებათ. **ღრიანკალი** — ნანატრი წარმატება მოდის. პლანეტები თქვენ მიმართ ძალზე კეთილგანწყობილნი არიან. **მშვილდოსანი** — აქტიური დღეა. ბევრი საქმე გაქვთ. ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. **თხის რქა** — ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ გაქვთ. ალკოჰოლსა და ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **მერწყული** — სიტუაციის თქვენ სასარგებლოდ შემობრუნებას მოახერხებთ. უფროსობა თქვენით კმაყოფილია. **თევზები** — ეცადეთ, ოჯახში წარმოქმნილი პრობლემები დაუყოვნებლივ მოაგვაროთ. ემოციები აკონტროლეთ, რათა კონფლიქტი თავიდან აიცილოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კიმ ჩენ ინმა ფოტოგრაფს მეუღლისთვის სურათის გადაღება არ დაანება

ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა ხელი უბიძგა და გვერდით გასწია ფოტოგრაფი, რომელიც მისი მეუღლის რი სოლ



ჩჟუსთვის სურათის გადაღებას ცდილობდა. ეს ყოველივე სამხრეთ კორეაში მისი ვიზიტის დროს მოხდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო კი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც კიმ ჩენ ინს მეუღლე სამხრეთ კორეის ლიდერისთვის უნდა წარედგინა. გავრცელებული ინფორმაციით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ჩრდილოეთ კორეის რომელიმე ლიდერს სამხრეთ კორეის პრეზიდენტთან შეხვედრაზე მეუღლე მიჰყავს.

ორი კორეის ლიდერებმა სამიტი სამხრეთ კორეის დემილიტარიზებულ ნაწილში გამართეს და რამდენიმე ერთობლივ დეკლარაციასაც მოაწერეს ხელი.

## ჩინელს მომაკვდავი დელფინის გატაცებისთვის დასჯიან

ჩინეთში ეძებენ მამაკაცს, რომელმაც პლაჟიდან მომაკვდავი დელფინი წაიღო. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

ინციდენტი გუანდუნის პროვინციის კუნძულ ხაილინზე მაისის დღესასწაულის დროს მოხდა, რომელიც ჩინელი ტურისტებისთვის პოპულარულ დასვენების ადგილს წარმოადგენს. ერთ-ერთმა თვითმხილველმა ვიდეოზე გადაიღო დამსვენებელი, რომელსაც მხარზე მოზრდილი დელფინი ჰყავს გადებული და მიდის. ამ კადრების ინტერნეტში გამოქვეყნების შემდეგ მომხდარით ხელისუფლება დაინტერესდა.



ზღვის ფაუნის დაცვის ადგილობრივი სამსახურის ინფორმაციით, დელფინი ნაპირზე გამოირიყა, თუმცა ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც იპოვეს. ვიდეოზე აღბეჭდილმა მამაკაცმა მომაკვდავი დელფინი საკუთარ ავტომობილში მოათავსა.

— მისი პიროვნების დადგენის შემდეგ მას სასჯელი ელის, — განაცხადა ორგანიზაციის წარმომადგენელმა, — ჩინეთში დელფინებს კანონი იცავს და მნიშვნელობა არ აქვს, ის ცოცხალია თუ მკვდარი. ნებისმიერ შემთხვევაში მას ხელისუფლებისთვის უნდა მიემართა.

## ტყვეობაში ორანგუტანმა მოიწყინა და გასუქდა

ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკის ზოოპარკის ბინადარმა ორანგუტანმა ცუდი პირობების გამო, რომელშიც მას უწევს ტყვეობაში ყოფნა, მოიწყინა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.



მაიმუნის სავალალო მდგომარეობას ყურადღება მიაქცია ფოტოჟურნალისტმა და ტელეწამყვანმა აარონ გეკოვსკიმ.

— ეს ორანგუტანი აშკარაა, რომ სიმსუქნის მძიმე ფორმით იტანჯება. მას ვოლიერში სამოძრაოდ ძალიან მცირე ადგილი აქვს და, ამასთან, აშკარად ზედმეტ საკვებს აძლევენ, — აღნიშნა მან. გეკოვსკი ასევე იმანაც გააკვირვა, რომ ცხოველი უმეტეს დროს იატაკზე იჯდა, რაც ბუნებრივ პირობებში საკმაოდ მოძრავი პრიმატისთვის დამახასიათებელი არ არის.

— კიდევ ერთი საგანგაშო ნიშანი ის არის, რომ ეს ორანგუტანი ვოლიერში ორ თანამოძმესთან ერთად ცხოვრობს. ისინი კი მარტო მცხოვრები ცხოველები არიან და თავისუფალ გარემოში იშვიათად ურთიერთობენ ერთმანეთთან, — აღნიშნა გეკოვსკიმ.

## 104 წლის ავსტრალიელმა ევთანაზიისთვის ფული შეაგროვა

ავსტრალიელმა დევიდ გუდოლმა ევთანაზიისთვის ფული შეაგროვა და თავის უკანასკნელ გზაზე შვეიცარიაში გაემგზავრა.



მისი თქმით, მას ავსტრალიაში სურდა სიკვდილი, მაგრამ მის ქვეყანაში ევთანაზია მხოლოდ ვიქტორიის შტატშია ნებადართული და ისიც მხოლოდ სასიკვდილოდ დაავადებული ადამიანებისთვის. თავის 104-ე დაბადების დღეზე გუდოლმა აღიარა, რომ მხოლოდ სიკვდილი სურს და ნანობს, რომ ასეთ ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწია.

დევიდის თქმით, მას სიცოცხლის ღირსეულად დასრულება სურს. მან კრაუდფანდინგის დახმარებით 20 ათასი ავსტრალიური დოლარის შეგროვება მოახერხა შვეიცარიაში გასამგზავრებლად, თავისთვის და ახლობლებისთვის. ბოლო დღეები დევიდმა ფოსტის დათვალიერებასა და ნათესავებთან საუბრებში გაატარა.

გუდოლი ბოლო დრომდე სამეცნიერო სამუშაოთი იყო დაკავებული, მაგრამ აპრილში გადატანილი ინფარქტის შემდეგ ექიმებმა ურჩიეს, ან მომვლელი დაექირავებინა, ან მოხუცებულთა სახლში გადასულიყო. მისი მეგობრის კეროლ ო'ნეილის თქმით, ეს სიტყვები მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

— ის დამოუკიდებელი ადამიანია და არ სურს, მის გარშემო ტრიალებდნენ ადამიანები, მით უმეტეს უცნობები, რომლებიც მასზე იზრუნებენ. მას სურს, აწარმოებდეს ინტელექტუალურ საუბრებს და თავად იყოს დაკავებული ყოველდღიური საქმიანობით, — განაცხადა კეროლმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 3. სიბერით გამოწვეული დაავადებების შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. პოლიტიკური პარტია საქართველოში; 5. ოქრომჭედლის ყალიბი; 8. ამერიკული სიგარეტი; 9. სამეფო საბჭოს სხდომა ძველად საქართველოში; 12. ლირიკულ-სატრფიალო ხასიათის სპარსულ-აზერბაიჯანული სიმღერა; 14. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 16. ლათინური ანბანის ბოლო ასო.

**თარაზულად:** 1. მეფეთა ძვირფასი თავსამკაული, ხელისუფლების სიმბოლო; 6. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. ჭაობის მცენარე; 9. უბანი თბილისში; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 11. პატარა თევზსაჭერი გემი; 13. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 15. სათამაშო სახლი, სამორინე; 17. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 18. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 19. ველური ვარდი; 20. ობობისნაირთა ოჯახის შხამიანი ცხოველი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. სუპორტი; 2. ვირსალაძე; 3. მოტოროლა; 4. ბრონქსი; 5. მაყალი; 9. ზნეობა; 11. სარდელი; 12. რიშარი; 14. გამბიტი; 18. იდიში; 19. შოუდუ.

**თარაზულად**: 4. ბეშუმი; 5. მორიკონე; 6. ფოლგა; 7. გომბორი; 8. ესკიზი; 10. კოქსი; 13. ტიგელი; 15. ლაზერი; 16. ლუდი; 17. შინი; 20. ბოჟოლე; 21. დინარი; 22. ბუშლატი; 23. დაბალი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. რაბათი; 2. თორი; 3. პაციფისტი; 4. ალაფი; 5. ზოსტერა; 8. დილერი; 9. ბერეიტორი; 12. შულერი; 14. დუნსტი; 16. ალილო.

**თარაზულად**: 1. რქაწითელი; 6. ვატერლოო; 7. ბრუდერი; 9. ბოგირი; 10. ბიზე; 11. კეტჩერი; 13. ბედია; 15. სუმიდა; 17. დიზაინი; 18. ველენი; 20. მოლიერი.

# იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

ვაჟა-ფშაველას, გოგლა ლეონიძის, ტიციან და გალაკტიონ ტაბიძეების სახლ-მუზეუმების შემდეგ, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანში მდებარე იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის, ნიკოლოზ ანთიძის, ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი შედგება ერთმანეთზე მიდგმული ორი ნაგებობისგან, ერთი იაკობ გოგებაშვილის მიერ აშენებული სკოლის შენობაა, ხოლო მეორე იაკობ გოგებაშვილის მიერ აგებული სახლის სრული ასლი.

სახლის ასლი დგას იმ სახლის ადგილას, სადაც იაკობის ოჯახის საცხოვრებელი სახლი იდგა. სოფ. ახალდაბიდან ბატონს გამოქცეული იაკობის მამა, სვიმონი ამ სოფელში მოსახლეობას შეუფარებია, მიწის ნაწილი მიუციათ და აქ დაუსახლებიათ. სვიმონს აუშენებია პატარა ქოხი, სადაც ცხოვრობდა თავის ოჯახთან ერთად. 1832 წლიდან სვიმონი სახლის გვერდით ვარიანელთა მიერ აშენებულ ეკლესიაში მღვდლად განმწესდა. იმ ქოხში დაიბადა იაკობ გოგებაშვილიც. ქოხი, რომელშიც იაკობის ოჯახი ცხოვრობდა, ორსართულიანი სახლით შეიცვალა მოგვიანებით, როცა იაკობმა წიგნებიდან მიღებული ჰონორარით შეძლო ორსართულიანი სახლის აგება. ამ სახლის ერთ-ერთ ოთახში, რომელიც იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნოდა, იაკობმა გახსნა ერთწლიანი სკოლა, სადაც ვარიანელი გლეხის ბავშვები განათლებას იღებდნენ უფასოდ. ამ ოთახში სკოლა ფუნქციონირებდა 1901 წლამდე, სანამ იაკობმა სახლს უკანა მხრიდან ერთსართულიანი შენობა არ მიადგა, სადაც ოთხწლიანი სკოლა გახსნა. იაკობის გარდაცვალების შემდეგ სახლში ცხოვრობდა იაკობის ძმის შთამომავლობა. 1958 წელს სახლიდან ძმისშვილები გადაყვანილი იქნენ სხვა სახლში, აქ კი იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი გაიხსნა. სახლი ძლიერ იყო დაზიანებული 1920 წლის მიწისძვრის შედეგად, რის გამოც იმავე წლებში სახლი სრულად იქნა განახლებული იაკობისეული სახლის სტილის სრული დაცვით. სახლ-მუზეუმში დაცულია 1940 წელს აკოფოვის მიერ გადაღებული სახლის ფოტო, რომელიც იაკობისეული სახლის ერთადერთი საარქივო მასალაა.



სახლი ორსართულიანია. ქვედა სართულზე მოთავსებული იყო სამეურნეო ოთახები, ხოლო ზედა სართულზე სამი ოთახი თავისი ბუხრებით და კედელში ჩადგმული კარადებით. ორივე სართულის ოთახები ფასადისკენ იხსნება სამი კარითა და ოთხი სარკმლით. მეორე სართულს მთელს სიგრძეზე ხის აივანი გასდევს, რომელიც ხის სვეტებს ეყრდნობა. ასასვლელი კიბე პირველი სართულის ტერასიდანაა. ტერასა მოაჯირის გარეშეა. სახლს გვერდიდან მიდგმული აქვს სათონე. ამჟამად შენობის პირველი სართული მუზეუმის ფონდსაცავია, მეორე სართულზე საექსპოზიციო სივრცეა მოწყობილი, რომელშიც იაკობის მემორიალური ნივთებია გამოფენილი. ერთ ოთახში წიგნის კარადა და სამუშაო მაგიდა დგას, მეორე ოთახში იაკობის საწოლი, ტანსაცმლის კარადა და მაგიდა-სარკით, მესამე ოთახი კი საკლასო ოთახის პრეზენტაციაა, როგორც აღვნიშნეთ, სახლის ერთი ოთახი 1901 წლამდე იაკობს საკლასო ოთახად ჰქონდა გამოყენებული. შენობაზე გვერდით მიდგმულია სათონე, რომელშიც ამჟამად მუზეუმის ადმინისტრაციული ნაწილია შეხიზნული, რადგან ადმინისტრაციული შენობა მუზეუმს არ გააჩნია.

სკოლის შენობა, აშენებულია დაახლოებით 1900 წლისთვის, 1901 წლიდან ამ შენობაში იაკობის მიერ გახსნილი ოთხწლიანი სკოლა იდებს ბინას. სახლი ერთსართულიანია, რამდენიმე კიბით ამაღლებული მიწიდან. შედგება ერთი დიდი ოთახისგან, რომელიც ფასადისკენ გახსნილია სარკმლებით და ორი კარით. ოთახი თავის დროს სამ ნაწილად იყო გატიხრული და სამივე ოთახი კლასებს ჰქონდა დაკავებული. სახლს წინ მთელს სიგრძეზე ხის აივანი გასდევს. აივანს ხისავე იატაკი ჰქონდა, რომელიც ამჟამად შეცვლილია აგურის ფილაქნით. ასევე გამოიყურებოდა სკოლა 1940-იან წლებში გადაღებულ ფოტოზე, რომელიც სახლ-მუზეუმის ფონდშია დაცული. 1962 წელს შექმნილ ფერწერულ ტილოზე კი, რომელიც ამჟამად მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზშია დაცული, სკოლის შენობა შუშაბანდიანია. როგორც ჩანს, აივანი XX საუკუნის 50-იან წლებში შემინეს. დღეს შუშაბანდი მოხსნილია და ისევ აივანია გაკეთებული. ასევე ახსნილია სკოლის ოთახის ტიხრები და ერთიან საექსპოზიციო სივრცედაა გამოყენებული.

მიუხედავად იმისა, რომ იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის შემადგენელი ნაგებობებიდან ერთი თითქმის ახალი ნაგებობაა, ხოლო მეორე მცირედ სახეცვლილია, ისინი მაინც უნდა ჩაითვალოს იაკობ გოგებაშვილთან დაკავშირებულ მემკვიდრეობად. გარდა ამისა, სკოლის შენობა ერთ-ერთი პირველი სახალხო სკოლის ისტორიის სიმბოლოა, რომელიც იმ დიდი საგანმანათლებლო მოძრაობის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც თერგდალეულთა სახელს უკავშირდება და რომელმაც ძირეული ცვლილებები შეიტანა ქართველი ხალხის შემდგომ განვითარებაში.

## ლორეში მდებარე ქობაირის ეკლესიაში უნიკალური ფრესკა აღმოაჩინეს

მხატვარმა ანტონ ბალანჩივაძემ ლორეში მდებარე ქობაირის ეკლესიაში არსებული უნიკალური ფრესკის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია:

— ესაა მართლაც უნიკალური ფრესკა და მგონი აქამდე არც არსებობს მისი ფოტო. მე არ შემხვედრია, ყოველ შემთხვევაში.

ქობაირის ეკლესია მდებარეობს ლორეში. მე-13 საუკუნეში ეკუთვნოდა საქართველოს განთქმული ამირსპასალარის, დავით სოსლანის თანამებრძოლის და თამარ მეფის ერთგული ვასალის ზაქარია მხარგრძელის შვილს — შანშე, შაჰანშაჰ მხარგრძელს.

ამ ფრესკაზე იქ მომუშავე სომეხი რესტავრატორები მომიყვნენ, რომ იტალიელმა სპეციალისტებმა, რაღაც კვლევის შემდეგ ძალიან დამაჯერებლად ივარაუდეს, რომ ეს უნდა იყოს ქვემოთ ზაქარია და ივანე მხარგრძელის და მათი მამის ამირსპასალარ სარგისის გამოსახულებები.



ეს ცნობა მართლაც სარწმუნო უნდა იყოს, რადგან ცნობილია, რომ ამ მონასტერში მხარგრძელების საფლავებია, არ მიყვარს სიტყვა საძვალე და თუ ეს მართლა ასეა, ეს იქნება ჯერჯერობით ერთადერთი გამოსახულება მხარგრძელების... ნუ, სანამ მეორეს არ ჩამოვიტან დავით გარეჯიდან... და ყველაზე საინტერესოა, რომ სარგისი ღებულობს კვერთხს ციდან, ანგელოზის ხელიდან.

## თბილისის მერსედეს ბენცის მოდის კვირეული ავთანდილმა გახსნა



თბილისის მოდის კვირეულის შემდეგ, საქართველოს დედაქალაქი უკვე მერსედეს ბენცის მოდის კვირეულს მასპინძლობს.

კვირეული ავთანდილმა შემოდგომა-ზამთარი 2018-ის კოლექციით გახსნა. დიზაინერის ახალი კოლექციის გახსნის პატივი მოდელ თაკო ნაცვლიშვილს ერგო.

გასულ წლებში ეს არის თაკოს მეორე გამოჩენა ქართულ პოდიუმზე. პირველად ქართული მერსედეს-ბენც მოდის კვირეულის სადებიუტო სეზონზე გამოჩნდა, მაშინაც ავთანდილის ჩვენებაზე და მაშინაც გახსნა.

თბილისის მერსედეს-ბენც მოდის კვირეულის 2018 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციების ჩვენებების ციკლი ავთანდილმა გახსნა. რამდენიმე დღის განმავლობაში საკუთარ კოლექციებს ცნობილი ქართველი დიზაინერები მოდის მოყვარულებს წარუდგენენ.

## ნანი ბრეგვაძე „მხოლოდ ქართულს“ პროტესტის ნიშნად არ უყურებს



ამ განცხადებას ოპერის მომღერალი თამარ ივერი სოციალურ ქსელში აკეთებს და ეხმაურება მსმენელის მიერ მუსიკალურ შოუში „მხოლოდ ქართული“ ქართული სიმღერების ახლებურ არანჟირებებთან დაწყებულ აჟიოტაჟსა და ხმაურს:

— ქალბატონმა ნანი ბრეგვაძემ მითხრა, რომ ის პროტესტის ნიშნად არ უყურებს ამ პროექტს, რადგან ის სამარცხვინოა და ქართულთან კავშირში არ არის. რაღაც... ევრო-აბსტრაქტულ-სიურეალისტურ-ქართული მარაზმია, რასაც, სამწუხაროდ, აპრავებს ჟიური.

## ანსამბლები „სუხიშვილები“ და „ივერია“ საქველმოქმედო კონცერტს ჩაატარებენ



ლეგენდარული ანსამბლები „სუხიშვილები“ და „ივერია“ 6 მაისს საქველმოქმედო ერთობლივ კონცერტს ჩაატარებენ.

თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული ღონისძიება მახათას ღვთისმშობლის სავანის მშენებლობის მხარდასაჭერად მოეწყობა.

## სამგლოვიარო განცხადებები



ივანე, სოფიკო, ლევან ჯაფარიძეები, ტატა გედევანიშვილი, ეკა დავითაშვილი, ერეკლე უგრელიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი, ცნობილი სპელეოლოგი, დამსახურებული ჟურნალისტი, „პრომეთეს“ მღვიმის აღმომჩენი

**ჯუმბერ ჯიშკარიანი**

დაკრძალვა: 6 მაისს, 15 საათზე;
მისამართი: სულხან ცინცაძის ქ. 85 (ყოფილი საბურთალოს ქუჩა).

სოხუმის რაიონის გიორგი შარვაშიძის სახელობის თავისუფლების საშუალო სკოლის ყოფილი პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სკოლის კურსდამთავრებული

**ნინო ჩაკვეტაძე**

და სამძიმარს ვუცხადებთ დას — ნონა ჩაკვეტაძეს.

***ღრმა პატივისცემით, სერგი საჯაია, ლენა კიტია, ნანი ერქვანია, ვანო დვალაძე, ნანი კვარაცხელია, დავით შონია***

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## თბილისის ბიგ ბენდის კონცერტებმა უკრაინაში ანშლაგებით ჩაიარა

თბილისის ბიგ ბენდის უკრაინულმა კონცერტებმა ანშლაგებით ჩაიარა. ქართველმა ხელოვანებმა კონცერტები უკრაინის სამ ქალაქში ჩაატარეს და მსმენელის აღტაცებაც მოახერხეს.

უკრაინიდან დაბრუნებულმა მომღერლებმა და მუსიკოსებმა ქუთაისის მთავარ დღესასწაულში — გვირილობაში მიიღეს მონაწილეობა და ბიგ ბენდის 9-ვე მომღერალმა ქუთათურებს დაუვიწყარი საღამო აჩუქა.



ივლისში თბილისის ბიგ ბენდი საკონცერტო ტურნეს საქართველოში დაიწყებს. ანსამბლ „ქართულ ხმებთან“ ერთად ორკესტრი საიუბილეო კონცერტებს ჩაატარებს. „ქართული ხმები“ დაარსებიდან 30 წლის იუბილეს ზეიმობს, თბილისის ბიგ ბენდი კი 20 წლის იუბილეს. 48-კაციანი შემადგენლობით ხელოვანები საქართველოს მოივლიან. საიუბილეო კონცერტები მესტიიდან კახეთამდე ყველა ქალაქს მოიცავს.

## თბილისს პატარა უფლისწული დაუბრუნდა



წლების წინ თბილისის ცენტრალურ უბანში, ვაკეში, მრგვალ ბაღში მოქანდაკე ირაკლი ჟვანიამ პატარა უფლისწულის შადრევანი გახსნა.

შადრევანმა გარკვეული პერიოდის შემდეგ ფუნქციონირება შეწყვიტა, რადგან ის დაზიანდა.

როგორც მოქანდაკემ განაცხადა, დიდი და მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად მერიამ, როგორც იქნა, შეძლო და პატარა უფლისწულის შადრევანი ისევ ჩართო, რომელიც ფერადი შუქებით არის განათებული.

## ვაჟა მანია ბერკლის სასწავლებელს წითელ დიპლომზე ამთავრებს




მომღერალი ვაჟა მანია, რომელიც მაყურებელმა „ჯეოსტარიდან“ გაიცნო, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებელ ბერკლის ამთავრებს.

მან თავისი ცხოვრება ბოლომდე მუსიკას დაუკავშირა და უამრავი მუსიკოსისთვის საოცნებო სასწავლებელში ქართველმა მომღერალმა წარმატებას მიაღწია — მაისში ვაჟა მანია ბერკლის წითელ დიპლომზე დაამთავრებს.

სამწუხაროდ, მომღერალი საქართველოში დაბრუნებას არ გეგმავს და საცხოვრებლად ნიუ იორკში გადადის.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

5 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.4608

ევრო — 2.9485

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3457

100 რუსული რუბლი — 3.8807

## ამინდის პროგნოზი 5 მაისისთვის





## 3 მაისიდან

„50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“




წიგნი ა4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## დიეგო სიმეონე: „ფინალში თამაში დავიმსახურეთ“



მადრიდის ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ არსენალთან მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა გამარჯვება დაიმსახურა.

სიმეონეს აზრით, ატლეტიკომ არსენალი ყველა კომპონენტში დაჩაგრა.

– რთული იყო მატჩისთვის ტრიბუნიდან ცქერა და ვაღიარებ, რომ ძალიან ვინერვიულე. მატჩის სადავეებს ვაკონტროლებდით და ეს გამარჯვება დავიმსახურეთ. ფინალში სუსტი მეტოქე არ არსებობს, ამიტომ ჩვენ დიდი ბრძოლა გველის წინ, – განაცხადა დიეგო სიმეონემ. ფინალში ატლეტიკოს მეტოქე მარსელი იქნება.

აღსანიშნავია, რომ ფინალური შეხვედრა საფრანგეთში, კერძოდ კი, ლიონში გაიმართება.

## ჯერარდს რეინჯერსში მარტინ შკრტელის ხილვა სურს



სტივენ ჯერარდი უკვე ოფიციალურად გლაზგო რეინჯერსის მწვრთნელი გახდა და მალე ის კონტრაქტსაც ხელს მოაწერს.

ჯერარდი უკვე აწყობს მომავლის გეგმებს და თავის გუნდში ყოფილი თანაგუნდელის მარტინ შკრტელის ხილვა სურს.

ჯერარდი და შკრტელი ერთად 6 წლის მანძილზე თამაშობდნენ, ხოლო ამჟამად შკრტელი თურქული ფენერბახჩეს ღირსებას იცავს.

ჯერარდისთვის რეინჯერსი პირველი გუნდია მის სამწვრთნელო კარიერაში და ლივერპულის ლეგენდას სერიოზული გეგმები აქვს.

## პსჟ კრისტიან ერიქსენით დაინტერესდა



პსჟ წლევანდელ სატრანსფერო ბაზარზე ისევ აქტიური იქნება და პარიზული გუნდის გეგმაში რამდენიმე ფეხბურთელი შედის. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ტოტენჰემის დანიელი ნახევარმცველი კრისტიან ერიქსენია, რომელიც ევროპაში თავის პოზიციაზე ერთ-ერთი საუკეთესოა.

პსჟ მზად არის, ერიქსენის ტრანსფერში 100 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა, სავარაუდოდ, ტოტენჰემი უფრო მეტს მოითხოვს, რადგან ერიქსენი მისი წამყვანი ფეხბურთელია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ლომმა მანქანის კარის გაღება ისწავლა



სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში მოგზაურობის დროს ტურისტმა ბრონვინ ჰატინგმა ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ ცდილობდა ლომი მისი მეგობრების მანქანაში შეღწევას. ვიდეორგოლი იუთუბიზე პარკის არხზე გამოქვეყნდა.

ქალი ამტკიცებს, რომ დაახლოებით დილის ხუთ საათზე მან გზის პირას ექვსი ლომი შენიშნა. მისმა ნაცნობებმა, რომლებიც სხვა ავტომობილით გადაადგილდებოდნენ, გადაწყვიტეს, მტაცებელი ცხოველებისთვის სურათები გადაეღოთ. როდესაც მანქანამ დაამუხრუჭა, ერთ-ერთი ცხოველი მასთან მივიდა და შეეცადა, უკანა ხედვის სარკეზე გადაკრული ყვითელი შალითები მოეძრო, შემდეგ კი კბილებით კარის გაღება ცადა.

– ორჯერ ისმის იმის ხმა, თუ როგორ იღება და იკეტება კარის სახელური, – ამბობს ჰატინგი, – ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მას ეს არაერთხელ აქვს გაკეთებული.

კარი მხოლოდ იმიტომ არ გაიღო, რომ მძღოლმა სახელურების ჩაკეტვა მოასწრო. ამ წარუმატებლობის შემდეგ ლომმა მანქანას შემოუარა, რათა საბარგულის სიმტკიცე შეემოწმებინა. როდესაც მტაცებელს მეორე თანამოძმე შეუერთდა, ტურისტებმა გადაწყვიტეს, იმ ადგილს დაუყოვნებლივ გასცლოდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



●●●

ახლადშერთული ცოლი ქმარს ეუბნება:

– ახლა უკვე, როდესაც დავქორწინდით, უკეთესი იქნება, თუ შენს გასართობს, გოლფის თამაშს, თავს დაანებებ.

– რატომ?

– აბა, თავად დაფიქრდი, თუკი გოლფის ჯოხებს გაყიდი, იმ ფულით ახალი ავეჯის ყიდვას შევძლებთ.

– შენ ჩემი ყოფილი ცოლივით ლაპარაკობ.

– ყოფილი? ჩემთვის არ გითქვამს, რომ ჩემამდე სხვა ქალზე იყავი დაქორწინებული!

– არც ვყოფილვარ.

●●●

გზაზე ძველი, დანგრეული მანქანით მიმავალ მძღოლს პატრული აჩერებს და ეუბნება:

– თქვენ სიჩქარის გადაჭარბებით მოძრაობდით და ამისთვის ჯარიმა უნდა გამოგიწეროთ.

– მაინც რა სიჩქარით ვმოძრაობდი?

– საათში 140 კილომეტრით.

– აჰა შენ ამ მანქანის გასაღები და, თუ მასეთი სიჩქარის განვითარებას შეძლებ, ჯარიმაზე სამჯერ მეტ თანხას გადაგიხდი.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ვიაგრაზე რამე თუ გსმენია?

– ეგ რა არის?

– წამალია, მაგას რომ დალევ, ღამეში ორ-სამჯერ მოახერხებ ქალთან სექსს.

– ეგ რა, დამამშვიდებელია?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, იმ დასკვნამდე მივედი, რომ უკანალი ადამიანის უმნიშვნელოვანესი ორგანოა.

– მაინც?

– ის მონაწილეობს მკურნალობაში, სწავლაში, აღზრდაში, გადაწყვეტილების მიღებასა და თავგადასავლების მოძიებაში.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– ვის უნდა ჰგავდეს ბავშვი?

– მამას, რა თქმა უნდა...

– სულელი ხარ! ბავშვი ქმარს უნდა ჰგავდეს!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით




## საქართველოს თასი ქუთაისმა მოიგო

**ქუთაისი-კაკტუსი 67:65**
**(19:21, 21:10, 13:11, 14:23)**



საქართველოს თასის გამარჯვებული ქუთაისი გახდა. იმერულმა კლუბმა თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გამართულ დაძაბულ ფინალურ მატჩში კაკტუსი 67:65 დაამარცხა და თასის მფლობელი გახდა. ქუთაისელებმა საქართველოს თასის წინა გათამაშებაც მოიგეს და საპატიო ტიტული წელსაც შეინარჩუნეს.

როგორც საბოლოო ანგარიშიდან ჩანს, შეხვედრა საკმაოდ დაძაბული იყო. ეს განსაკუთრებით მის დასკვნით ნაწილზე ითქმის, რადგან თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში ქუთაისელები წინ იყვნენ და კაკტუსელებმა ბოლო წუთებზე დაძაბეს სიტუაცია. პირველი პერიოდის 19:21 წაგების შემდეგ, ქუთაისელებმა თამაში დაალაგეს. კოტე ტულუშის გაწვრთნილმა გუნდმა დაცვა გაამაგრა, ხოლო შეტევაში ბურთის გადატანას, კომბინაციების გათამაშებას და ხშირ შემთხვევაში მათ დაგვირგვინებას ჯონათან ლი თავობდა.

მეორე პერიოდი ქუთაისელებმა 21:10 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 9-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ 40:31. კაკტუსის მოთამაშეები არ ტყდებოდნენ და სწრაფი შეტევებით იმისთვის საკმარის ქულებს იხვეჭდნენ, რომ მეტოქე ძალიან შორს არ გაეშვათ. ქუთაისელებმა მესამე პერიოდში ლიდერობას კიდევ 2 ქულაც დაამატეს, წინ 13 ქულით გაიჭრნენ და საბოლოო წარმატების მისაღწევად მცირედი აკლდათ.

არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსელებმა ბოლომდე იბრძოლეს. მედგარი დაცვის ხარჯზე იმერულ გუნდს დიაპაზონი შეუზღუდეს, თავად კი სწრაფი გარღვევებით ჩამორჩენის გაბათილება იწყეს. ქუთაისელები ლიდერობას ინარჩუნებდნენ და აკაკი დვალიშვილის შორეული ორქულიანის შემდეგ მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 5 ქულას – 65:60 იგებდნენ.

გადამწყვეტ წუთებზე კაკტუსელებს ცოტა დააკლდათ გმირობამდე – ჟღენტის გაწვრთნილმა გუნდმა პრესინგის

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ნეიმარი პარიზში დაბრუნდა



ბრაზილიელი ვარსკვლავი ნეიმარი პარიზში დაბრუნდა და თავისი მკურნალობის დასკვნით ეტაპს საფრანგეთის დედაქალაქში გაივლის.

ნეიმარმა ტრავმა თებერვლის ბოლოს მიიღო და მას შემდეგ საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ის ბრაზილიაში იყო, სადაც სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა. ამის გამო ნეიმარს პსჟ-ს ფანები გაუბრაზდნენ კიდეც, რადგან ისინი თვლიან, რომ ნეიმარი პარიზში უნდა დარჩენილიყო.

ნეიმარმა ტრავმის გამო 2 თვეზე მეტი გამოტოვა და ის მოედანს, სავარაუდოდ, მაისის ბოლოს დაუბრუნდება, მსოფლიო ჩემპიონატისთვის კი სრულიად ჯანმრთელი იქნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ყავის მარცვლებსა და ჩაის ფოთლებში არსებული ალკალოიდი; 2. თურქეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 4. ისტორიული სახელმწიფო კასპიის ზღვის სანაპიროებთან; 5. ძრავიანი ველოსიპედი; 9. შაქრის ლერწმის საჩეხი გრძელი დანა; 11. კიბერნეტიკის ერთ-ერთი დარგი; 12. აკაკი წერეთლის ლექსი; 14. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 18. პორტატიული გეოდეზიური ხელსაწყო; 19. რხევათა სიხშირის საზომი ერთეული ფიზიკაში.

**თარაზულად:** 4. კურორტი საფრანგეთში, სადაც ჩატარდა პირველი ზამთრის ოლიმპიადა; 5. მეცნიერების, ხელოვნების მდიდარი მფარველი; 6. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში; 7. ამერიკული სამხედრო ვერტმფრენების სერია; 8. ნაკურთხი წყალი; 10. ჩინური ფინიკი; 13. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 15. ძველებური ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 16. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული შვედეთში; 17. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 20. იზოლირებული ელექტროსადენი; 21. კუბის დედაქალაქი; 22. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 23. ავსტრიელი მწერალი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*